

# ხობის მოამბე

№4 (7095) 28 თებერვალი, ხუთშაბათი, 2013 წელი.
ფასი 70 თეთრი.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი

## ახლა კიდევ ერთი გადამწყვეტი ბრძოლა გვაქვს ყველას ერთად მოსაგები, ბრძოლა იმისათვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ დავძლიოთ გაჭირვება, რომ ყველა ოჯახი გაიმართოს წელში და ღირსეულად იცხოვროს თავის სამშობლოში

*ბიძინა ივანიშვილის სიტყვა „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ პარტიის ყრილობაზე.*



„მადლობა მინდა, მოგახსენოთ საპატიო თავმჯდომარეე არჩევისთვის, მადლობა მინდა გადავუხადო პარტიის თავმჯდომარეს მანანა კობახიძეს, რომელსაც ძალიან მძიმე პერიოდში დაეკისრა პარტიის ხელმძღვანელობა, მადლობა მინდა, ვუთხრა პარტიის თითოეულ წევრს, თითოეულ აქტივისტს, თითოეულ მხარდამჭერს, ასევე კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალი პარტიების ლიდერებს, რომლებმაც დიდი დახმარება და თანადგომა გაუწიეს ჩვენს პარტიას.

გახსოვთ ყველას, პარტიის ჩამოყალიბება როგორ ფორსმაჟორულ რეჟიმში მოხდა, რამდენი წინააღმდეგობის გადალახვა მოგვიწია. პოლიტიკური საქმიანობისთვის ელემენტარული პირობებიც კი არ გვქონდა. პარტიაში გაწევრიანების გამო ადამიანებს იჭერდნენ და ოჯახებს აშანტაჟებდნენ, აქტივისტებს არბევდნენ და უმოწყალოდ სცემდნენ, თუმცა, პარტიამ ღირსეულად გაუძლო ყველა განსაცდელს და არჩევნებში ჩვენმა კოალიციამ დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწია.

დღეს ჩვენს პარტიას პარლამენტში ყველაზე დიდი წარმომადგენლობა ჰყავს. ამიტომაც ახლა სრულიად სხვა ამოცანების წინაშე ვდგავართ, დღეს ჩვენს წინაშე სრულიად სხვა დღის წესრიგია.

ხალხი გვენდო და ხმა მოგვცა, და ჩვენ ვალდებული ვართ გავამართლოთ ეს ნდობა. ხელისუფლებაში ყოფნის პასუხისმგებლობა გაცილებით უფრო დიდია და ჩვენი ვალია ეს ტვირთი ღირსეულად ვატაროთ.

დღეს ჩვენ მოვიწვიეთ „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ პარტიის ყრილობა იმისათვის, რომ კიდევ ერთხელ შევთანხმდეთ ჩვენი პარტიის პოლიტიკური საქმიანობის ძირითად ამოცანებზე და დავადუსტუროთ, რომ კოალიციაში შემავალ სხვა პარტიებთან თანამშრომლობით ვაპირებთ ქვეყანაში ნამდვილი, ძლიერი დამოკრატია შევქმნათ და დავუბრუნოთ ადამიანს, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეს თავისუფლება და ღირსება, აღვადგინოთ და დავიცვათ მისი უფლებები, დავამყაროთ ქვეყანაში სამართლიანობა.

ხალხმა გარკვევით უნდა იცოდეს, რომელ პოლიტიკურ ძალას შეუძლია გაჰყვეს, ვის მიემხროს და ვის არა, ვინ აირჩიოს და ვინ არა. ხალხს სიცხადე სჭირდება.

ამისთვის აუცილებელია პარტია დაეფუძნოს გამოკვეთილ და ჩამოყალიბებულ მსოფლმხედველობას და შექმნას ისეთი პარტიული სისტემა, რომელიც მთელ საქართველოს მოიცავს.

პირველ რიგში, აუცილებლად მინდა გითხრათ, რომ ჩვენი პარტია არასოდეს ჩადგება ისეთ სახელისუფლებო პარტიათა რიგში, რომელთა არსებობის სამწუხარო პრაქტიკაც იყო ჩვენს ქვეყანაში. ბოლო ოცი წელია მმართველ პარტიაში ერთიანდებიან არა იდეოლოგიური და ღირებულებითი ნიშნით, არამედ მას ეტმასნებიან გამდიდრებისა და ძალაუფლების მოპოვების სურვილით შეპყრობილი ადამიანები.

ასეთი პარტიები ყოველთვის ერთნაირ ბედს იზიარებენ–ხელისუფლებიდან წასვლისთანავე იშლებიან და მათი არსებობაც კი აღარავის ახსოვს. „ქართულმა ოცნებამ“ სხვა პრაქტიკა უნდა დაამკვიდროს–ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგაც უნდა გააგრძელოს არსებობა და აქტიური პოლიტიკური საქმიანობა. ეს უნდა იყოს იდეოლოგიითა და ღირებულებებით შეკავშირებული ადამიანების ერთობა, რომელიც ოპოზიციაშიც სიცოცხლისუნარიანი იქნება.

სწორედ ეს განასხვავებს თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოს სხვა ქვეყნებისგან და ჩვენ ვალდებული ვართ, ბოლოს და ბოლოს, ქვეყანა ახალ, ცივილიზებულ ცხოვრების წესზე გადავიყვანოთ.

იმას კი, რაც ამ ბოლო დროს პარტიის რეგიონალურ სტრუქტურებში მოხდა, საერთო არაფერი აქვს დემოკრატიასთან. ყველამ კარგად იცით, რეგიონებში რამდენი ადამიანი გაწევრიანდა პარტიაში და მათ შორის რამდენი აღმოჩნდა თანამდებობისა და ხელმძღვანელობის მსურველი. ხალხი ერთმანეთს დაუპირისპირდა.

გარწმუნებთ, ძალადობით თავს ვერავინ დაიმკვიდრებს, ვერც ხელმძღვანელ პოსტებზე მოხვდებიან ძალაუფლების მოპოვების ჟინით შეპყრობილი ადამიანები. ურთიერთქიშპით მხოლოდ კნინდება და სახელი უტყდება ჩვენს პარტიას. ჩვენ ამას არ დავუშვებთ!

მე სრულიად შეგნებულად გადავწყვიტე, არ ჩავრეულიყავი ადგილებზე პარტიული სტრუქტურების ჩამოყალიბებაში. მე არ ვიკადრე, თბილისიდან დამენიშნა ხელმძღვანელი პირები. ეს საქმე ადგილებზე, რაიონულ ორგანიზაციებს მივანდე, თუმცა ბევრ გაუგებრობას წავაწყდი. ამას, რასაკვირ-

>>>>>>>>>>> 3

## მუნიციპალიტეტის საკრებულოში სხდომა ჩატარდა

*2013 წლის 28 თებერვალს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში საკრებულოს სხდომა გაიმართა, რომელიც გახსნა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ბატონმა მამუკა ქარდავამ.*

*სხდომაზე განხილული იქნა შემდეგი საკითხები:*

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: მ. ქარდავა-საკრებულოს თავმჯდომარე;

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი).

2. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე).

3. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების განსაზღვრის თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 მარტის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე).

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი).

4. „ხობის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 18 იანვრის N1 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: მ. ქარდავა-საკრებულოს თავმჯდომარე).

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი).

5. „ხობის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ბ. ჯიქია - საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე).

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი).

6. „ხობის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების კვარტალური განწერის დასამტკიცებლად ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ბ. ჯიქია - საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე).

7. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ა. სართანია - გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი).

8. „ხობის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ამორტიზირებული ქონების ჩამოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ა. სართანია - გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი).

9. „საწვავისა და ფიჭური სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხოლვა.

(მომხსენებელი: ბ. ჯიქია - საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე).

10. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ კოლხეთის“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 9 დეკემბრის N102 განკარგულებაში ცვლილების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: მ. სილოგავა - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე).

11. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 31 ივლისის N52 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: მ. სილოგავა - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე).

12. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საშტატო ნუსხისა და სახელფასო სარგოს შეთანხმების თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 მარტის N20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ბ. ჯიქია - საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე).

განხორციელებულ საკითხებზე მიღებული ქნა შესაბამისი დადგენილებები.

სხდომის დამთავრების შემდეგ გამართულ დებატებში მონაწილეობდნენ საკრებულოს წევრები.

## მოქალაქეთა სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა დაიწყო

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით 2013 წლის 1 თებერვლიდან 2013 წლის 30 ივნისამდე ხორციელდება მოქალაქეთა სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა. გაწვევას ექვემდებარებიან 18-დან 27 წლამდე ასაკის ის მოქალაქეები, რომლებსაც არა აქვთ სავალდებულო სამხედრო სამსახურისაგან განთავისუფლების ან გადავადების უფლება.

2013 წლის საგაზაფხულო გაწვევა ხორციელდება 3 მიმართულებით: საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გარე დაცვისა და სპეციალური დაცვის სამსახურში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გასამხედროებულ დანაყოფში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში. გეგმა-დავალების მიხედვით გაწვევა ხორციელდება წარმატებულად.

„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის თანახმად 2013 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 30 აპრილამდე ტარდება 1996 წელს დაბადებულ იმ მოქალაქეთა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა, რომლებსაც უსრულდებათ 17 წელი. აღრიცხვაზე ასაყვანია 256 ჭაბუკი.

სამსახურში შექმნილია ყველა პირობა იმისათვის, რომ 2013 წლის საგაზაფხულო გაწვევა და 1996 წელს დაბადებულ ჭაბუკთა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა განხორციელდეს ხარისხიანად და მაღალორგანიზებულად.

# მაია ფანჯიკიძე ავსტრიული ინდუსტრიის ფედერაციის პრეზიდენტს შეხვდა



საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე ავსტრიაში ავსტრიული ინდუსტრიის ფედერაციის პრეზიდენტს გეორგ კაფშს შეხვდა.

შეხვედრისას მხარეებმა მოიხილეს საქართველოში არსებული ბიზნესგარემო. გამოიყო რამდენიმე სექტორი, რომელშიც ავსტრიას განსაკუთრებული გამოცდილება აქვს, ესენია, ტურიზმი, ტრანსპორტი, ინფრასტრუქტურის სფერო და სოფლის მეურნეობა.

„საქართველოსა და ავსტრიას წლების მანძილზე კარგი ურთიერთობები გააჩნიათ. ავსტრიამ დაახლოებით 250 მილიონი ევროს ინვესტიცია განახორციელა საქართველოში. საგარეო საქმეთა მინისტრთან საუბრის შემდეგ ჩვენ დავინტერესდებით სოფლის მეურნეობის, ტურიზმის და ლოჯისტიკის სფეროებით", - განაცხადა გეორგ კაფშმა.

„ეს იყო ძალიან საინტერესო შეხვედრა. მისი მხრიდან დაფიქსირდა ინტერესი, რომ ინვესტიციების განსახორციელებლად ჩამოვიდეს საქართველოში და ჩამოიყვანოს ბიზნესმენთა ჯგუფი. ავსტრიული მხარე დაინტერესდა იმ ფონდებით, რომელიც შექმნილია ეკონომიკის ასაღორძინებლად და იმედი მაქვს, მათი ვიზიტი მალე შედგება", - აღნიშნა ფანჯიკიძემ შეხვედრის დასრულების შემდეგ.

# ირაკლი ღარიბაშვილი ირაკლი ალასანიას შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი თავდაცვის მინისტრს ირაკლი ალასანიას შეხვდა.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, შეხვედრა ალასანიას უწყებაში გაიმართა.

რიგით მეორე სამუშაო შეხვედრაზე, მინისტრებმა ეფექტიანი კოორდინაციისა და ორივე უწყების ქვედანაყოფებს შორის თავსებადობის უზრუნველყოფის გაუმჯობესების საკითხები განიხილეს.

ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელები თავდაცვისა და შს სამინისტროებში არსებული ლოგისტიკური პრობლემების ერთიანი ძალებით მოგვარებაზეც შეთანხმდნენ.

შეხვედრას ასევე, ძალოვანი მინისტრების მოადგილეები და საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელობა ესწრებოდა.



# ეკა ბესელია: „ნაციონალური მოძრაობის საბოტაჟის მცდელობის მიზანი, აპრილში მთავრობის დათხოვნის შესახებ საკონსტიტუციო ნორმების ამოქმედებაა".



საპარალამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის ეკა ბესელიას განცხადებით, მათ ხელთარსებული ინფორმაციით, „ნაცმოძრაობის" მხრიდან საბოტაჟის უსუსური მცდელობები სისტემურ ხასიათს იღებს და ამ ყველაფრის მიზანია, აპრილში ამოქმედდეს კონსტიტუციის ის ნორმა, რაც გულისხმობს პრეზიდენტის უფლებას, დაითხოვოს ხალხის მიერ არჩეული მთავრობა.

ამის შესახებ ეკა ბესელიამ პარლამენტში ბიუროს სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა. „ბოლო პერიოდში სხვადასხვა უწყებებში სულ უფრო ხშირად ვლინდება ფაქტები, „ნაცმოძრაობის" ერთგული საჯარო მოხელეების მხრიდან სახელმწიფოს გამართული საქმიანობისთვის ხელის შეშლის მცდელობების შესახებ.

ერთი შეხედვით, მათი ეს მცდელობები და „ნაციონალური მოძრაობის" ლიდერების განცხადებები იმის შესახებ, რომ ისინი 4 წელი ვერ დაელოდებიან არჩევნებს ხელისუფლების ცვლილებისთვის, მხოლოდ პიარზეა გათვლილი, თუმცა ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, საბოტაჟის უსუსური მცდელობები სისტემურ ხასიათს იღებს.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული მაგალითები, რომ „ნაცმოძრაობის" წიაღში არსებობს რადიკალური დაჯგუფება, რომელიც მოქმედებს კარგად გააზრებული გეგმით და რომლის მიზანია, მათ ხელთარსებული რესურსების გამოყენებით (ყოფილი ხელისუფლების ერთგული ანგაჟირებული საჯარო მოხელეები ქვეყნის შიგნით თუ გარეთ, სასამართლო, თვითმმართველობა, მედია) მოახდინონ მთავრობის გამართული საქმიანობისთვის ხელის შეშლა, ხელოვნურად გამოიწვიონ ხალხის უკმაყოფილება და მოამზადონ ნიადაგი იმ ავტორიტარული საკონსტიტუციო მუხლის ამოქმედებისთვის, რომელიც გამოიწვევს ხალხისთვის დემოკრატიული არჩევნების შედეგების წართმევას და „ნაცმოძრაობის" მიერ უკანონოდ ხელისუფლების მიტაცებას. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში სამინისტროები ებრძვიან და ამარცხებენ კონკრეტული საბოტაჟის ფაქტებს მათ უწყებებში, მნიშვნელოვანია, რომ შსს-მ მოახდინოს მასშტაბური რეაგირება არამხოლოდ განხორციელებულ საბოტაჟზე, არამედ წინასწარ აღკვეთოს ნებისმიერი იმ ტიპის მცდელობა, რომელიც ხელს უშლის სახელმწიფოს ნომრალურ ფუნქციონირებას და გამოიწვევს მოქალაქეთა მდგომარეობის დროებით გაუარესებას.

უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 318-ე მუხლის თანახმად, რომელიც განმარტავს საბოტაჟს, გულისხმობს შემდეგს: საქართველოს დასუსტების მიზნით, სახელმწიფო ან სხვა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ან სამსახურის ნორმალური ფუნქციონირებისთვის ხელის შეშლა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ორიდან ოთხ წლამდე ვადით.

ამ ყველაფრის მიზანია, აპრილში ამოქმედდეს კონსტიტუციის ის ნორმა, რაც გულისხმობს პრეზიდენტის უფლებას, დაითხოვოს ხალხის მიერ არჩეული მთავრობა. ამ ფონზე საპარლამენტო უმცირესობის მხრიდან, ხელისუფლებასთან საკონსტიტუციო ცვლილების საკითხზე მოლაპარაკების ხელოვნურად ჩაშლა და საბოტაჟის მცდელობები ერთიანი გეგმის ნაწილია.

ცნობილია, რომ „ნაცმოძრაობის" ყველა წევრი არ მონაწილეობს დესტრუქციულ ქმედებებში. შესაბამისად, ვსვამთ კითხვას, იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ მონაწილეობენ სახელმწიფოს წინააღმდეგ ქმედებებში, ღიად განაცხადონ, რატომ არ უჭერენ საკონსტიტუტციო ცვლილებების პროექტს მხარს, –აცხადებს ბესელია.

დაიჯესტი

## პრეზიდენტის არჩევის წესთან დაკავშირებით შესაძლოა, რეფერენდუმი ჩატარდეს

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა საინიციატივო ჯგუფი და მათ მიერ სარეფერენდუმოდ შემოთავაზებული საკითხი -„თანახმა ხართ თუ არა, რომ საქართველოს პრეზიდენტი აირჩიოს საქართველოს პარლამენტმა?"

სარეფერენდუმო საინიციატივო ჯგუფი სამი წევრისგან შედგება. მასში იაგო წიკლაური, გელა მესტიაშვილი და იანა ხუციშვილი შედიან. აღსანიშნავია, რომ საინიციატივო ჯგუფმა რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნით, 3 თვის განმავლობაში, 200 000 მოქალაქის ხელმოწერა უნდა შეაგროვოს, ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობით, რეფერენდუმის ჩატარების ინიციატივა აქვს საქართველოს პარლამენტს, 200 000 ამომრჩეველს ან საქართველოს პრეზიდენტს. რეფერენდუმს ნიშნავს პრეზიდენტი მისი ჩატარების მოთხოვნიდან 30 დღის განმავლობაში.

## გენადი ონიშჩენკო საქართველოში ჩამოსვლას გეგმავს



რუსი ექსპერტების მოსკოვში დაბრუნების შემდეგ რუსეთის მთავარი სანიტარი გენადი ონიშჩენკო საქართველოში ჩამოსვლას გეგმავს.

„რა თქმა უნდა, მე ჩავალ საქართველოში, თუმცა ჯერჯერობით ეს საკითხი დეტალურად არ განხილულა", - განაცხადა ონიშჩენკომ.

მისივე თქმით, „როსპოტრებნადზორის" ქართულ საწარმოებში ინსპექცია გეგმიურად მიმდინარეობს და რუსმა სპეციალისტებმა საწარმოების ძირითადი ნაწილი უკვე მოინახულეს.

შეგახსენებთ, რომ რუსი ექსპერტების 6-კაციანი ჯგუფი საქართველოში 25 თებერვალს ჩამოვიდა. „როსპოტრებნადზორის" ხელმძღვანელმა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადების შემდეგ განაცხადა, რომ შესაძლოა, რუსი ექპსერტები უკან გაეწვია, თუმცა მათ საქართველო გუშინ დატოვეს.

## სოზარ სუბარი და სოფო ჯაფარიძე შვეიცარიის ელჩს შეხვდნენ



სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი სოზარ სუბარი და მინისტრის მოადგილე საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში სოფო ჯაფარიძე შვეიცარიის ელჩს გიუნტერ ბეჰლერს შეხვდნენ.

სამინისტროს ინფორმაციით, შეხვედრაზე მხარეებმა პენიტენციურ სისტემაში არსებულ პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე ისაუბრეს.

საუბარი ასევე შეეხო ჯანდაცვის სფეროში განხორციელებულ რეფორმებს, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების გეგმებს, პატიმართა და არა პატიმართა სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელებას.

აღსანიშნავია, რომ შეხვედრის დასასრულს მხარეები ურთიერთთანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.

## პოლიტპატიმრები პროკურატურაში სარჩელს შეიტანენ

„დემოკრატიული მოძრაობის" წევრი ათი პოლიტპატიმარი, რომლებიც 26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით დააპატიმრეს, პროკურატურაში საკუთარ საქმესთან დაკავშირებით საჩივარს შეიტანს.

პარტიაში აცხადებენ, რომ პარლამენტის მიერ ამნისტირებული 200-მდე პოლიტპატიმრიდან „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" წევრი 45 პირია.

როგორც პარტიაში news.ge-ს განუცხადეს, პროკურატურაში პოლიტპატიმრების ნაწილი საჩივრებს მომდევნო დღეებშიც შეიტანს.

1 <<<<<<<<

ველია, თავისი ახსნა მოეძებნება.

არჩევნების შემდეგ ხალხმა ამოისუნთქა და თავისუფლად აზრის გამოთქმის საშუალება მიეცა, და ეს ყველამ ისე გამოხატა, როგორც შეძლო. სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ ზოგმა ურთიერთობის ფორმად დაპირისპირება აირჩია, რაც არ შეგვშვენის.

ჩვენ დემოკრატიასა და თავისუფლებაში ცხოვრება უნდა ვისწავლოთ. ჩვენ დიდი ტრადიციების ქვეყანა ვართ, მაგრამ თითქმის არა გვაქვს დემოკრატიაში ცხოვრების გამოცდილება და პოლიტიკური კულტურა. ეს უნდა ვისწავლოთ ყველამ–ხელისუფლებამაც და ხალხმაც. ამ პროცესში შეცდომა ყველამ შეიძლება დაუშვას, მთავარია სწორი დასკვნები გამოვიტანოთ.

მინდა შევეხო იმ დაპირისპირებასაც, რომელიც ამ ბოლო დროს ჩხუბში და ცემა–ტყეპაში გადაიზარდა, მათ შორის პოლიტიკოსების გაწევ–გამოწევაც ვიხილეთ. კარგად მინდა გავაანალიზო, რა მოხდა და რასთან გვქონდა საქმე საჯარო ბიბლიოთეკასთან. მე კარგად მესმის აღელვებული, სააკაშვილისგან უფლებააყრილი ხალხის, რომელიც პროტესტის გამოსახატავად შეიკრიბა. ამას მათ, რა თქმა უნდა, ვერავინ დაუშლის. მაგრამ ის, რაც მერე მოხდა, ყოვლად დაუშვებელია.

ახლავე უნდა ვისწავლოთ ის, რომ უსამართლობას კანონის ძალით უნდა გავცეთ პასუხი და არა მუშტი-კრივით, რადგან თუ ადამიანებმა გადაწყვიტეს, რომ პირადად უნდა გაუსწორდნენ და ასე აგებინონ პასუხი მოძალადეს,-არაფერი გამოვა, ასე სახელმწიფო არ აშენდება.

ერისა და ქვეყნის კულტურა სწორედ აქ ვლინდება. სწორედ სახელმწიფო და კანონია ის ძალა, რომლის იმედიც უნდა ჰქონდეს კაცს. სახელმწიფომ, კანონმა და სასამართლომ უნდა აღადგინოს სამართლიანობა, თორემ, სხვანაირად, უსამართლობა ახალ უსამართლობას შობს, ძალადობა-ძალადობას, და ქიშპი და ანგარიშსწორება აღარ დამთავრდება, ქვეყანაში განუკითხაობა დაისადგურებს და ფეხზე ვეღარასოდეს წამოდგება.

მესმის, რომ ძნელია ამის მოსმენა იმ ხალხისთვის, რომელმაც რეჟიმის ძალადობა საკუთარ თავზე იწვნია, მაგრამ მერწმუნეთ, ეს თუ არ შევაჩერეთ, გაცილებით მძიმე შედეგებამდე მივალთ. მე გპირდებით, რომ სამართლიანობას აუცილებლად აღვადგენთ, მაგრამ ეს ცივილიზებულად უნდა მოხდეს, ისე, როგორც ეს ჩვენს დიდი კულტურის ქვეყანას ეკადრება. სამართლიანობის აღდგენას თავისი წესი და რიგი აქვს, დრო სჭირდება და რაც არ უნდა გვეჩქარებოდეს, ხელოვნურად პროცესებს ვერ დავაჩქარებთ.

ჩვენ არ დავუშვებთ რევანშს, მაგრამ გპირდებით, ყველა დამნაშავე აგებს პასუხს კანონის წინაშე!

პირველი ნაბიჯები უკვე გადავდგით სამართლიანობის აღდგენის გზაზე. დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, პარლამენტმა მიიღო ამნისტიის კანონი. ბევრი პატიმარი დაუბრუნდა ოჯახს. გათავისუფლდნენ პოლიტპატიმრებიც, ადამიანები, რომლებიც უბრალოდ ამა თუ იმ პარტიის მხარდაჭერისა თუ განსხვავებული აზრისთვის კრიმინალებად მონათლეს, ადამიანები, რომლებიც უსასტიკეს, შეურცხმყოფელ, არაადამიანურ პირობებში ამყოფეს, იძალადეს მათზე, ჯანმრთელობა შეურყიეს, ცხოვრება დაუნგრიეს.

ახლა პანიკას თესავენ, არიქა, ამნისტიის წყალობით გამოუსწორებელი დამნაშავეები გამოვიდნენ გარეთ და ქვეყანას კრიმინალების თარეში ემუქრებაო. ჩვენი სამართლდამცავი ორგანოები არ დაუშვებენ კრიმინალის გაზრდას და ვინც დააშავებს, ყველა სათანადოდ აგებს პასუხს.

პირობას გაძლევთ, რომ წინ აღვუდგებით ნებისმიერ უკანონობას. ბოლოს და ბოლოს ჩვენს ქვეყანაში კანონის უზენაესობა უნდა დამყარდეს. ყველა ერთი იქნება კანონის წინაშე მიუხედავად ეთნიკური, რელიგიური თუ სექსუალური კუთვნილებისა. პირობას გაძლევთ, განსხვავებულობის გამო, თავისუფალი აზრისთვის, თავისუფალი სიტყვისთვის აღარავინ დაისჯება.

დემოკრატიულ სახელმწიფოს ვერ ააშენებ, თუ შენი მოსახლეობა დაშინებული და დაჩაგრულია. სახელმწიფოს სჭირდება სამოქალაქო საზოგადოება, მკვეთრად გამოხატული მისწრაფებებითა და ნებით, და რაც მთავარია, თავისუფალი, ღირსეული, დაფასებული და აქტიური ადამიანი-მოქალაქე.

სწორედ ამიტომ, სახელმწიფოს მთავარი საზრუნავი და ღირებულება იქნება ადამიანი და მისი ფუნდამენტური უფლებების დაცვა და განმტკიცება.

ჩვენი უმთავრესი მიზანია შეძლებისდაგვარად საუკეთესო პირობები შევუქმნათ თითოეულ ჩვენს მოქალაქეს უსაფრთხო ცხოვრებისათვის, ხელი შევუწყოთ მისი პიროვნების განვითარებას, რათა ღირსეულად შეძლოს ცხოვრება.

ჩვენ ვიქნებით იმის გარანტი, რომ ადამიანის ღირსებასა და პირად ცხოვრებას ვერავინ შეეხება, ვერც საზოგადოება და ვერც სახელმწიფო.

თავისუფალი ადამიანებისგან შემდგარი ქვეყანა მაშინ არის ძლიერი, როცა სახელმწიფოს აქვს მმართველობის ჩამოყალიბებული სისტემა, ისეთი სისტემა, რომელიც გამორიცხავს გადაჭარბებულ და უკონტროლო ძალაუფლების თავმოყრას ხელისუფლების რომელიმე რგოლში, რომელიმე თანამდებობის პირის ხელში. ასეთ სისტემად ჩვენს პარტიას ესახება საპარლამენტო რესპუბლიკა, ძლიერი მთავრობითა და იმ აუცილებელი პირობით, რომ ძალაუფლება გადანაწილდება საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლების შტოებს შორის.

საქართველოს დღევანდელი კონსტიტუცია შეიცავს გაუგონარ ნორმას – საქართველოს პრეზიდენტს შესაძლებლობა აქვს ისე დანიშნოს მთავრობა, რომ არ შეუთანხმოს პარლამენტს, ხალხს.

მსოფლიოს არც ერთ დემოკრატიულ ქვეყანაში არ არსებობს ამის პრეცედენტი, არსად არ ეძლევა ერთ კაცს იმის შესაძლებლობა, რომ ერთპიროვნულად დანიშნოს მთავრობა და ამით ხალხს მოჰპაროს ძალაუფლება. 9 წელი გვაცხოვრეს ქვეყანაში, რომელსაც კონსტიტუციით ჰქონდა გაფორმებული დიქტატურა.

ამიტომაა საჭირო საკონსტიტუციო ცვლილებები, რათა აღდგეს ქართველი ხალხის კანონიერი უფლება და დაუბრუნდეს წართმეული ძალაუფლება.

ასეთი ცვლილებების აუცილებლობა საპარლამენტო უმცირესობის წევრებსაც კარგად ესმით. ეს რომ ესმით, იმიტომაც შემოგვთავაზეს გონივრული წინადადება, რომ ოქტომბერში ასამოქმედებელი კონსტიტუციის რამდენი ნორმა ახლავე ავამოქმედოთ. მე მივესალმები ყველა გონივრულ აზრს, სახელმწიფოს ინტერესებისათვის გადადგმულ ყველა ნაბიჯს და მჯერა, რომ ამით მხოლოდ ჩვენი ხალხი და ჩვენი ქვეყანა მოიგებს. თუმცა ჩვენ არ ვაპირებთ სამომავლოდ ამაზე გაჩერებას. კონსტიტუცია აუცილებლად გადაიხედება, რადგან, სამწუხაროდ, ბევრ სხვა ხარვეზსაც შეიცავს.

კონსტიტუცია არ შეიძლება იყოს კონკრეტულ კაცსა და კონკრეტულ ვითარებაზე მორგებული. კონსტიტუციაში არ შეიძლება იყოს ისეთი აბსურდული ჩანაწერი, რომელიც, მაგალითად, საფრანგეთის მოქალაქეს აძლევს სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის დაკავების უფლებას, ხოლო თუ იგივე მოქალაქე ამავე დროს საქართველოს მოქალაქეც გახდება, მას უზღუდავს ამ უფლებას, ისევე როგორც პარტიის თავმჯდომარეობის უფლებას.

როგორც უკვე აღვნიშნე, ჩვენი პარტია საპარლამენტო რესპუბლიკის იდეის მომხრეა, თუმცა კოალიციაში არსებობს სხვა მოსაზრებაც, კერძოდ, თავისუფალი დემოკრატები საპრეზიდენტო რესპუბლიკის მოდელს უჭერენ მხარს. აზრთა სხვადასხვაობა სავსებით ნორმალურია და ჩვენ შევთანხმდით, რომ ამ საკითხს კონსენსუსის გზით გადავწყვეტთ და კოალიციის წინასაარჩევნო პროგრამაშიც ზუსტად ასეთი ჩანაწერი გავაკეთეთ. საბოლოოდ, ხალხმა უნდა გადაწყვიტოს და ფართო შეთანხმების საგნად იქცეს კონსტიტუციის ის მოდელი, რომელსაც უახლოესი ათწლეულების განმავლობაში აღარ დასჭირდება გადახედვა.

ხალხის მონაწილეობის გარეშე არ გადაწყდება არც ერთი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საკითხი. ხალხმა უნდა დაიჯეროს, რომ შეუძლია გააკონტროლოს ხელისუფლება და მიიღოს მონაწილეობა ქვეყნის მართვაში. ხელისუფალთ კი უნდა ახსოვდეთ, რომ ისინი ხალხის მსახურები არიან და არა მათი უფროსები.

ჩვენ შევქმნით რეალურ თვითმმართველობას, რომელიც დემოკრატიული სახელმწიფოს ქვაკუთხედი და მთავარი ინსტიტუტია.

ქვეყნის განვითარებისთვის საჭიროა ხელისუფლების რეალური გადანაწილება ადგილებზე და არა დედაქალაქიდან პარლამენტისა და სხვა სახელმწიფო ორგანოების მექანიკური და გაუაზრებელი გადატანა.

ჩვენი მიზანია რეალური დეცენტრალიზაცია, რაც განვითარების საშუალებას მისცემს სოფლებსა და ქალაქებს. ვერა და ვერ ვეღირსეთ ნამდვილ თვითმმართველობას, – დამოუკიდებელს, ძლიერს, დემოკრატიულად არჩეულს.

მმართველობის ასეთი სისტემა თითოეულ ადამიანს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას და ვალდებულებას აკისრებს.

პასუხისმგებლობა და თავისუფლება ერთმანეთისგან განუყრელია. ჩვენ უნდა ვისწავლოთ თავისუფლებაში ცხოვრება, უნდა ვისწავლოთ ჩვენს სოფელსა თუ ქალაქზე, ჩვენს ქვეყანაზე პასუხისმგებლობის აღება.

კარგად უნდა გავიაზროთ ის, თუ რას ნიშნავს თავისუფლება. თავისუფალი ჰქვია იმას, ვინც თავის გადაწყვეტილებას ემორჩილება; იმას, ვინც არ გაექცევა თავის არჩევანს, ანუ პასუხისმგებლობას იღებს თავის გადაწყვეტილებებზე.

ეს არის ქვეყნის დემოკრატიული მმართველობა, ასეთია ევროპული ქვეყნების ცხოვრების წესი და ჩვენც სწორედ აქეთკენ უნდა მივისწრაფვოდეთ.

ჩვენი ქვეყნის სწრაფვა ევროპისკენ არავის კუთვნილება არ არის. გაიხსენეთ ჩვენი ისტორია -საქართველოს საუკუნეების განმავლობაში, ყოველთვის ევროპისკენ ეჭირა თვალი.

ევროპა საქართველოსთვის მხოლოდ პოლიტიკური არჩევანი არ იყო. ამას მოწმობს ჩვენი სარწმუნოება, კულტურა, ქართველი კაცის მსოფლმხედველობა. სულხან-საბას, ილიასა და ვაჟას ქვეყანაში ვერავინ დაიჩემებს, – ვერც ნაციონალური მოძრაობა და ვერც ქართული ოცნება,–რომ ევროპული გეზი მხოლოდ მისი კუთვნილებაა. ტყუილია, რომ ევროპული არჩევანი ნაციონალური მოძრაობის კუთვნილებაა, ტყუილია, რომ ვინმე აპირებს ამ გზიდან გადახვევას. ეს არჩევანი ქართველმა ხალხმა დიდი ხანია გააკეთა.

სწორედ ამ ისტორიული მიზნის მისაღწევადაა საჭირო ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანება და ამ გზას ჩვენი ხელისუფლება უპირობოდ ადგას.

ამ გზაზე ყველაზე მეტად ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი ქვეყანა – ამერიკის შეერთებული შტატები გვეხმარება და ამისათვის კიდევ ერთხელ მადლობა მინდა გადავუხადო მათ.

საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანია ურთიერთობა მეზობელ სახელმწიფოებთან, ჩვენი რეგიონის ქვეყნებთან. ამ ორი დღის წინ წარმატებით ჩაიარა თურქეთში ვიზიტმა. ასეთივე წარმატებული იყო სომხეთსა და აზერბაიჯანში ჩვენი ვიზიტები. ურთიერთობის დალაგება დავიწყეთ რუსეთთან ეკონომიკური და კულტურული კავშირების აღდგენის მიმართულებით, პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა, ქართული პროდუქციისთვის იხსნება რუსული ბაზარი, რაც მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი მოსახლეობისთვის.

ჩვენი ქვეყანა უნდა გახდეს შეთანხმების და არა დაპირისპირების ადგილი, საქართველო ბუნებრივად არის დასავლურ და აღმოსავლურ ცივილიზაციათა და კულტურათა თანხმობის ადგილი, და ჩვენ უნდა ვიზრუნოთ, რომ საქართველო პოლიტიკური თანხმობის ადგილიც გახდეს.

ჩვენ პატივს ვცემთ ჩვენს ტრადიციებს. ტრადიცია კი, პირველ რიგში, ძველის შენახვასა და გაფრთხილებას გულისხმობს. მაგრამ, ახლის შეთვისება და შექმნაც ქართული ტრადიციის განუყრელი ნაწილია. ეს ის ორი ძირითადი პრინციპია, რომელიც ქართული კულტურის თვითმყოფადობასა და სიცოცხლისუნარიანობას განაპირობებს.

ჩვენ ერთნაირად ღირსეული უნდა ვიყოთ არა მარტო როგორც ჩვენი ტრადიციების ერთგულებაში, არამედ სიახლეთა დამკვიდრებისას. უნდა გვახსოვდეს, რომ კრიტიკული აზროვნებით უნდა ვუდგებოდეთ როგორც ფსევდოტრადიციულობაში ჩაკეტილ, ქსენოფობიურ და ჰომოფობიურ მსოფლმხედველობას, ისე ყოველივე უცხოურის, ყოველივე ახლის დაუფიქრებელ, გაუაზრებელ მიმბაძველობას. საღი, დამოუკიდებელი აზროვნების გარეშე ვერასოდეს გავთავისუფლდებით ზედაპირულობისაგან.

მე მჯერა, რომ ქართულ ტრადიციაზე, ქართულ კულტურაზე აღზრდილი ადამიანი არ განასხვავებს სხვა ადამიანს მისი ეროვნების ან რელიგიის გამო; ჩვენ სწორედაც რომ ქართულ ტრადიციას, მის საუკეთესო ნაწილს ვეყრდნობით, როდესაც ვამტკიცებთ, რომ ჩვენთვის ქართველებისთვის, ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქე ჩვენი თანამოქალაქეა, სხვაგვარად ქართველები, პირველ რიგში, საკუთარ ტრადიციას და კულტურას ვუღალატებთ და დავამცირებთ.

ჩვენ უნდა გავხდეთ დემოკრატიული, სამართლიანი, მშვიდობიანი და ეკონომიკურად მიმზიდველი ქვეყანა. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ჩვენსკენ მოვატრიალოთ ჩვენი აფხაზი და ოსი ძმები, ომი უკვე გამოვიარეთ და კარგად გვესმის მშვიდობის ფასი. ჩვენ უნდა გამოვნახოთ ერთმანეთის გულებისკენ მიმავალი გზები, ერთმანეთის პატიება უნდა შევძლოთ და ავაშენოთ საერთო სახელმწიფო, რომელიც სამშობლო იქნება ყველასათვის.

აი, ეს გახლავთ ის ძირითადი ღირებულებები და პრინციპები, რომლებსაც ჩვენი პარტია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ ეფუძნება.

ახლა მინდა მოკლედ შევეხო იმას, თუ რა გავაკეთეთ ხელისუფლებაში მოსვლიდან დღემდე და როგორ ვასრულებთ იმას, რასაც დავპირდით ხალხს და რასაც მხარი დაუჭირა ჩვენმა ამომრჩეველმა.

მე დღეს შემიძლია განვაცხადო–მთავრობა თავდაუზოგავად მუშაობს და ამ მუშაობის შედეგებს სულ ცოტა ხანში ყველა იგრძნობთ.

ჩვენ შევამცირეთ ათეულობით მილიონი გაუმართლებელი ხარჯი, აგარაკებსა და ათასგვარ ფუფუნების საგნებში საერთოდ ავკრძალეთ ბიუჯეტის ფულის ხარჯვა.

ვმუშაობთ 24 საათი, მრავალი მიმართულებით– მივხედეთ ჩვენს სოფლებს, დავიწყეთ საგაზაფხულო სამუშაოები, მივხედეთ განათლებას–გავზარდეთ სტუდენტების დაფინანსება, 14 ფაკულტეტი იქნება უფასო, რაც ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფომ დაიწყო ინვესტიციების ჩადება განათლებაში, ვაზღვევთ ყველა მოქალაქეს, გავზარდეთ პენსიები და სოციალური დახმარებები, შემცირდა გადასახადები, დაიწყო ფასების კლება, შევქმენით 3 საინვესტიციო ფონდი, რომელიც ქვეყნის ეკონომიკის ფეხზე დაყენებას მოხმარდება, და მრავალი სხვა, რაზეც აღარ შევაჩერებ თქვენს ყურადღებას.

ქვეყნის ფეხზე დაყენებას სწორი ეკონომიკური პოლიტიკით შევძლებთ. ხელისუფლების წნეხისაგან თავისუფალი ბიზნესი საშუალო კლასის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს და ეს არის ჩვენი მთავარი ამოცანა. ბიზნესთან დამოკიდებულება ყველაზე კარგად წარმოაჩენს ხელისუფლების რეალურ სახეს.

რამდენიმე დღეში ბიზნესმენებთან მექნება შეხვედრა და იქ დეტალურად განვიხილავთ ყველა საკითხს. მაგრამ აქედანაც მინდა ხმამაღლა მივმართო ჩვენს ბიზნესმენებს: თქვენ გაქვთ სრული თავისუფლება, სახელმწიფო არ ჩაერევა თქვენს საქმიანობაში და არც არავის მისცემს ამის უფლებას.

და ბოლოს, მივმართავ ჩვენს ახალგაზრდებს, ჩვენს შვილებს, ქვეყნის მომავალს, - ბევრი სამშობლოში იღებთ ცოდნას, ზოგი თქვენგანი საზღვარგარეთ სწავლობს, თქვენ ხართ ჩვენი ღირსეული წინაპრების საქმის გამგრძელებლები და დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ სამშობლოს მოახმართ მთელს თქვენს ნიჭს, ცოდნას, ახალგაზრდულ ენერგიასა და შემართებას.

ჩვენ კი, გპირდებით, რომ თქვენთან ერთად ისეთ სამოქალაქო საზოგადოებას შევქმნით, ისეთ სახელმწიფოს ავაშენებთ, რომელიც ყველას მისცემს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების საშუალებას – ეს კი, ყველაზე მნიშვნელოვანია ადამიანისთვის.

ახლა კიდევ ერთი გადამწყვეტი ბრძოლა გვაქვს ყველას ერთად მოსაგები, – ბრძოლა საქართველოს კეთილდღეობისათვის, ბრძოლა იმისათვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ დავძლიოთ გაჭირვება, რომ ყველა ოჯახი გაიმართოს წელში და ღირსეულად იცხოვროს თავის სამშობლოში. ამისათვის უნდა ვიშრომოთ, ვიშრომოთ თავდადებულად და მჯერა, რომ ერთად გავიმარჯვებთ და ავაშენებთ ჩვენს საოცნებო ქვეყანას“, - განაცხადა ივანიშვილმა.

**ახლა კიდევ ერთი გადამწყვეტი ბრძოლა გვაქვს ყველას ერთად მოსაგები, ბრძოლა იმისათვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ დავძლიოთ გაჭირვება, რომ ყველა ოჯახი გაიმართოს წელში და ღირსეულად იცხოვროს თავის სამშობლოში.**

# პრიორიტეტი — ქალაქის შემდგომი განვითარება

27 თებერვალს ქალაქ ხობის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ მოსახლეობასთან შეხვედრა გამართა. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა ერთის მხრივ-საქართველოს მთავრობის დადგენილების გაცნობა ქ. ხობის მაცხოვრებელთათვის,



ხოლო მეორეს მხრივ, მათი წინადადებების მოსმენა და გათვალისწინება შემდგომ მუშაობაში.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა ბატონმა კახაბერ ბენიძემ ისაუბრა იმ განსახორციელებელი პროექტების შესახებ, რომელიც გათვალისწინებულია ზოგადად ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ფარგლებში. მან მადლობა გადაუხადა ხობელებს შეხვედრაზე მობრძანებისათვის და იმ დაინტერესებისათვის, რომლებსაც ისინი იჩენენ ქალაქის შემდგომი განვითარებისადმი.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 და №25 დადგენილებები მოსახლეობას გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა ბატონმა ბადრი ჯობავამ. აქედან პირველი დადგენილება ეხებოდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურებს და კრიტერიუმებს. ერთ-ერთი ძირითადი მუხლი, რომელსაც ეს დადგენილება შეიცავს, შეეხება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, ადგილობრივი თვითმართველობის რეგიონული პროექტების განსახორციელებლად საჭირო სახსრების გამჭვირვალედ და ეფექტიანად გამოყენების, ადგილობრივი პრობლემების წარმოჩენისა და გადაწყვეტისას თვითმმართველობის ორგანოებისა და მოსახლეობის მაქსიმალურ ჩართულობას. აქვე გამოკვეთილია ის პრიორიტეტები, რომელსაც აღნიშნული დადგენილება ითვალისწინებს. კერძოდ, იგი მოიცავს: გზების, მიწისქვეშა კომუნიკაციების, ბორდიურების, ტროტუარების მოწყობა-რეაბილიტაციას, გარეგანათების მოწყობა რეაბილიტაციას, საკანალიზაციო სისტემებისა და მყარი ნარჩენების მართვას, საცხოვრებელი და საჯარო შენობების შეკეთება-რეაბილიტაციას.

ბატონმა ბადრი ჯობავამ აღნიშნა ის აუცილებელი პირობები, რომელსაც მოითხოვს წარმოდგენილი დადგენილება და რომ ეს **ძირითადი პირობაა ადგილობრივი მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობა საპროექტო წინადადებების შერჩევისა და პროექტის განხორციელების პროცესში. გარდა ამისა, საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებისა და შერჩევისას გათვალსწინებული უნდა იქნეს შემდეგი კრიტერიუმები: სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური მხარდაჭერა, მუნიციპალიტეტის საწარმოო ეკოლოგიური პარამეტრების გაუმჯობესება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, მოსახლეობისათვის უსაფრთხო, ეკოლოგიურად ჯანსაღი და კეთილსაიმედო გარემოს უზრუნველყოფა.**

საქართველოს მთავრობის №25 (2013 წლის 7 თებერვალი) დადგენილების მიხედვით, ბატონმა ბადრი ჯობავამ მოსახლეობას გააცნო სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ძირითადი პარამეტრები. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, პროგრამის ძირითად მიზანს წარმოადგენს ამ პროგრამით გათვალსიწინებული თანხის წარმართვა სოფლის პირ-



ველი რიგის სოციალურ-ეკონომიკურ საჭიროებათა დასაფინანსებლად, რაც ნიშნავს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოსახლეობის ჩართულობის გაძლიერებას და უშუალოდ მოსახლეობის მიერ დასახული პრიორიტეტების შესაბამისად ადგილობრივი მნიშვნელობის პრობლემების გადაწყვეტას.

ზემოთ აღნიშნულმა პროცესებმა უნდა გამოიწვიოს მოსახლეობისა და თვითმმართველობის ორგანიზატორთა შორის ურთიერთკავშირის გაძლიერება. საინტერესო და მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ამ პროგრამის განსახორციელებლად 2013 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში ჩადებულია 50 000 000 ლარი. ეს თანხა კონკრეტულად სოფელში მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ნაწილდება და ასე გამოიყურება:

ა) 50–სულიანი სოფლისთვის–2 000 ლარი;

ბ) 51 დან 200–სულამდე სოფლისთვის–4 000 ლარი;

გ) 201-დან 400-სულამდე სოფლისთვის–5 000 ლარი

დ) 401-დან 1000 სულამდე სოფლისთვის–8 000 ლარი;

ე) 1000-ზე მეტ სულიანი სოფლისთვის–12 000 ლარი.

ბატონმა ბადრი ჯობავამ ისაუბრა იმ მიზნებზე, რომელსაც ამ პროგრამის განხორციელება ემსახურება. ესაა–სოფლის მოსახლეობისათვის მატერიალური, ყოფითი და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, სოფლის მოსახლეობის დასაქმება, საერთო პრობლემების მოგვარება რამდენიმე სოფლისთვის.

ზემოთ აღნიშნული დადგენილებების ძირითადი საკითხების გაცნობის შემდეგ სიტყვით გამოსულმა შეხვედრის მონაწილეებმა წამოაყენეს წინადადებები, რომელთა გათვალისწინებასაც ითხოვდნენ წარმოდგენილი პროგრამის გარშემო.

როდესაც გავაანალიზე ხობელთა მიერ წარმოდგენილი პრობლემები, იგი ძირითადად ემთხვეოდა მთავარობის მიერ წარმოდგენილ პრიორიტეტებს. წერეთლის, ყაზბეგის, ჯავახიშვილის, სამეგრელოს, გამსახურდიას, ფშაველას ქუჩის მცხოვრებლები ითხოვდნენ გზების, სანიაღვრე არხების, გარე განათების, სასმელი წყლით ქალაქის მომარაგებას, საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაციის, ქუჩის სახელწოდების და ნუმერაციის მინიჭების, ტროტუარების მოწყობის საკითხებს.

სიტყვით გამოსულმა ედიშერ ჯობავამ, ხაზი გაუსვა ქალაქის სასაფლაოს მოვლა-პატრონობის საკითხს. მიცვალებულთა საფლავების მოვლა ჩვენი ერთ-ერთი უწმინდესი მოვალეობაა, რომელიც პირნათლად უნდა შევასრულოთ, როგორც ვიცით, ამ მხრივ გვაქვს სავალალო მდგომარეობა. პირველ რიგში კი საჭიროა ამ წმინდა ადგილის დაცვა და შემოკავება, რომელიც აუცილებლად უნდა გაკეთდეს–აღნიშნა მან.

შეხვედრის დასასრულს მუშაობა შეაჯამა ბატონმა ბადრი ჯობავამ, რომელმაც აღნიშნა, რომ დღევანდელი დღე მნიშვნელოვანი იქნება ყველა ხობელისთვის, რადგან უკვე დღეიდან დაიწყება იმ საკითხების მოგვარება, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში აწუხებდა ქალაქის მოსახლეობას, გადაიჭრება ბევრი ისეთი პრობლემა, რომელიც გააუმჯობესებს მათ ყოფით და სოციალურ მდგომარეობას.

**მანანა შულაია**

## ოკუპაციის კვირეული

თებერვალი საქართველოში გაზაფხულთან ასოცირდება ხოლმე. „თებერვალი დადგაო, ხეში წყალი ჩადგაო“, უთქვამთ ჩვენს წინაპრებს და ამით გაზაფხულის, სიცოცხლის ხელახლა დაბრუნების, სიახლისა და ახალი ენერგიის მოზღვავებისთვის გაუსვია ხაზი.

მაგრამ, თებერვლის დადგომა საქართველოში ბევრ სამწუხარო ამბებსაც გვახსენებს და ჩვენი ქვეყნის ტრაგიკულ ცხოვრებაზე მიგვითითებს. კერძოდ, 1921 წლის 12

# „თოვდა და თბილისს ეხურა თალხი...“



თებერვალს, ჩვენი მუდმივი და თანმდევი მტერი–საბჭოთა რუსეთი ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა საქართველოს ახალგაზდა დემოკრატიულ რესპუბლიკას. ამ აქტით საბჭოთა მთავრობამ ყოველგვარი კანონი–ერი საფუძვლის გარეშე დაარღვია 1920 წლის 7 მაისს ხელშეკრულება, რომლითაც აღიარა საქართველოს რესპუბლიკის სუვერენობა.

თებერვლის თვეში ჩვენი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გაჩაღდა მძიმე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები. სამშობლოს დამცველებმა უმაგალითო გმირობა გამოიჩენს ბრძოლის ველზე, მაგრამ მათ შორისაც იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც ამ უთანასწორო ბრძოლაში განსაკუთრებული თავდადება გამოხატეს. ესენი თბილისის იუნკერთა სკოლის აღზრდილები იყვნენ, რომლებმაც ბრძოლა ტაბახმელასთან გამართეს. ისინი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უკანასკნელი დღეების გმირ დამცველებს წარმოადგენდნენ. მაინც ვინ იყვნენ, რა წრიდან, რა სულისკვეთებისანი და საიდან მოსდგამდათ ამ ახალგაზრდებს ეს სულიერი სიმტკიცე და უდრეკელობა? ამ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად იმდროინდელი სურათი უნდა მიმოვიხილოთ, რომელიც დაახლოებით ასე გამოიყურებოდა–ამ პერიოდისთვის რუსეთს ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული საქართველოს რუსული წესის მმართველობაში. არ სცნობდა მის თავისებურებას, დაუზოგავად სარგებლობდა ბუნებრივი სიმდიდრეებით, საჭიროდ არ თვლიდა ქვეყნის კულტურულ და ეკონომიკურ განვითარებას. უკმარი იყო საშუალო სასწავლებელთა რიცხვი, არ არსებობდა უმაღლესი სკოლა, ქართული ენის სწავლა საშუალო სასწავლებელში დამატებით საგანს წარმოადგენდა, მიმდინარეობდა გარუსების პროცესი.

ქართული საზოგადოება ამ დროს გამოფხიზლებულია, ცდილობს თავის თავზე აიღოს ყველა ზემოთ ხსენებული საჭიროებანი, იბრძვის ეროვნული თავისუფლების გადარჩენისათვის. მიმდინარეობს გარკვეული განმანთავისუფლებელი მოძრაობა. ამ მოძრაობას სათავეში უდგას ილია ჭავჭავაძე. არ ხდება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, მრავლდება პირველდაწყებითი სკოლების ქსელი. არ ხდება სათავადაზნაურო ბანკი, რომელიც ხელს უწყობს ეროვნულ გამოღვიძებას. გამოდის მაღალი დონის ჟურნალ-გაზეთები. ერთი სიტყვით, ამაღორძინებელ მოძრაობაში ჩაბმული იყო მთელი იმდროინდელი საზოგადოება, რა თქმა უნდა, ახალგაზრდობაც.

დაახლოებით ასეთი წინააღმდეგობებით მოვიდა საქართველოს დამოუკიდებლობა, რომლის დროსაც ჩამოყალიბდა ქართველ იუნკერთა სასწავლებელი, რომლის კურსანტებსაც ბედმა არგუნა თავისუფლების და დამოუკიდებლობის დაცვა.

...და მაშინ, როცა საქართველოში დგება თებერვალი, ჩვენ ვიგონებთ ქართველ იუნკერთა თავგანწირვას, უდრეკელობას, მოვალეობის პირნათლად შესრულებას. მათ სულისკვეთებაზე ვერავითარი სიძნელე ვერ მოქმედებდა და ვერ ასუსტებდა...

...25 თებერვლის ღამე. ტაბახმელაზე საშინელი ქარი ქრის. ხვეტავს და მებრძოლებს პირში აყრის ხორხოშელასა და თოვლს. თოვლი ავსებს სანგრებსაც და უსწორმასწორობასაც. როგორც ყოველთვის, ქართველები უკვე ჩაბმულები არიან უთანასწორო ბრძოლაში, რომლის შედეგსაც უკვე დიდი ხანია ვიმკით.

ერთ საგაზეთო სტატიაში ძნელია ჩაატიო თებერვლის თვეში დატრიალებული ტრაგედია, ქართველ იუნკერთა ბრძოლის ეპიზოდები, მათი გმირობის ამბები. ამიტომ ეს პატარა სტატია მიზნად ისახავს მოვუწოდო თითოეულ ქართველს, რომ არ დავუკარგოთ საქართველოს ქართველ იუნკერთა არსებობის, შრომის, ოცნების, ჩატარებული ბრძოლების და დაღუპვის კვალი, რომ მომავალმა თაობებმა დავიწყებას არ მისცეს ჩვენი მწარე ბედი და საკუთარ გულში ჩახედვით გამოიტანონ შესაბამისი დასკვნები.

**მანანა შულაია.**

# „ვეცდები, ჩემში არსებული პოტენციალი გამოვიყენო...“

ახალი წელი ახალი ინიციატივებით, ახლებური ხედვით დაიწყო ახალმა ხელისუფლებამ.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით, ნოჯიხევის თემში, მუნიციპალიტეტის რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებლად გოჩა როდონაია დაინიშნა.

ახლა სოფელში და მით უფრო მუნიციპალიტეტში, ძალზე დატვირთული დღეებია. იგეგმება და საფუძველი ეყრება მიმდინარე წლის გასაკეთებელ საქმეებს.

მართალია, ახალდანიშნული სოფლის ხელმძღვანელი ჯერჯერობით სწავლობს ნოჯიხევში მცხოვრებთა სოციალურ მდგომარეობას–ვის რა უჭირს და ვის რა ულხინს, რა არის მათთვის აუცილებელი, თუმცა მოფიქრებული აქვთ უპირველესად თუ რა სჭირდება ხალხს და რომელ უბანში. თანაც ახალმა ხელმძღვანელმა უკვე დაიწყო ზრუნვა სასოფლო–სამეურნეო ბარათებით (ვაუჩერები) გათვალისწინებული საგაზაფხულო ხვნის სერვისის და სასუქების პრობლემების მოსაგვარებლად, რათა ხალხს არ ჰქონდეს შეფერხებები...



თუ ვინ არის თავად სოფლის ხელმძღვანელი, რა უნდა გაკეთდეს სოფელში, რას ფიქრობს სამომავლოდ, რამდენიმე კითხვით გოჩა როდონაიას მივმართეთ.

***ოჯახური ტრადიცია გრძელდება... თავის დროზე მამათქვენსაც (გოგი უზომოდ პატიოსანი და კარგი ადამიანი გახლდათ) იგივე საქმე ებარა, რაც დღეს თქვენ. ერთ დროს ხობში ქალაქს ხელმძღვანელობდა, გარკვეული წლები–ნოჯიხევს.***

***ჯერ სულ რაღაც ცოტა დროა, რაც სოფლის რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნეთ, მაგრამ მაინც გკითხავთ, გაეცანით სოფელს, როგორც თავკაცი, გაიგეთ მოსახლეობის აზრი, მათი გულისტკივილი. როგორ ფიქრობთ, ბევრი პრობლემაა გადასაჭრელი?***

–ის ფაქტი, რომ წლების წინათ მამაჩემი ღირსეულად უძღვებოდა სოფელს და რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თავი არასდროს შეურცხვენია, მე გაორმაგებულად მეტი პასუხისმგებლობა მეკისრება, რათა ტრადიცია ღირსეულად განვაგრძო.

გავეცანი რა სოფლის პრობლემებს, რაც არასდროს გამოლევია და გამოელევა სოფელს, მით უფრო გაზაფხულზე, გავიგე მოსახლეობის აზრი, მათი გულისტკივილი, მივხვდი, რომ საკმაოდ მძიმე და თავდაუზოგავი შრომა მომიწევს, რათა შეძლებისდაგვარად აღმოიფხვრას არსებული პრობლემები, რომელიც ზემდგომთან და ხალხთან ერთად უნდა განვახორციელო.

***სოფელი გიცნობთ, მაგრამ, ხობის მუნიციპალიტეტში როგორც რწმუნებულსა და მოქალაქეს, ბევრი არა, დროა, გაეცნოთ მკითხველს თუ ვინ ხართ და საიდან მოდიხართ?***

–ნოჯიხეველი გახლავართ. მამაჩემი, როგორც აღნიშნეთ, გოგი როდონაია იყო. დედა–გიზელა ოკუჯავა–ნოჯიხევის არასრული საშუალო სკოლის დირექტორი, სპეციალობით ბიოლოგი. ორივენი ძალიან აქტიური პიროვნებები იყვნენ (ძალიან ახალგაზრდები წავიდნენ ამ ქვეყნიდან). ნოჯიხევში დავიბადე და გავიზარდე. სკოლაშიც აქ ვსწავლობდი, დავამთავრე ქალაქ გორკის პოლიტექნიკური ინსტიტუტი. ორი წელი ვმუშაობდი ხობის ავტოსაწარმოში (ატეკა). შემდეგ ათი წელი ვცხოვრობდი რუსეთში და დაკავებული ვიყავი კერძო ბიზნესით. მყავს მეუღლე და ორი შვილი.

***ალბათ შექმენით თქვენი „გუნდი“. ნოჯიხევის გამგეობიდან ვინ წავიდა და ვინ მოვიდა. თუ დაინიშნა ახალი, არჩევისას რა კრიტერიუმები გაითვალისწინეთ?***

–ახალი „გუნდი“ არ შემიქმნია. ნოჯიხევის გამგეობიდან არავინ წასულა, რაც შეეხება ცვლილებებს, ამ კითხვაზე თავს შევიკავებდი.

***რას გვეტყოდით სოფელში გასაკეთებელ საქმეებზე. 2013 წელს ნოჯიხევის განვითარებისათვის ხალხის სოციალური პრობლემების გასაუმჯობესებლად ბევრი რამ არის გადასაწყვეტი, სულ რამდენი კომლი ცხოვრობს, რამდენი მოსახლეა დაუსაქმებელი? დაგვეგმეთ პირველი გასაკეთებელი, რითაც უნდა დაიწყოთ ეს წელი. ძირითადად მაინც რის გაკეთებას ითვალისწინებთ?***

–ნოჯიხევი დიდი სოფელია. სულ 914 კომლი ცხოვრობს ლტოლვილების ჩათვლით. მოსახლეთა რაოდენობა 3150 შეადგენს. ნოჯიხეველთა უდიდესი ნაწილი დაუსაქმებელია, რაც თითოეულის დიდი გულისტკივილია.

ყველა საქმე, რაც დავგეგმეთ და გასაკეთებელ საქმეთა ნუსხაში შევიტანეთ, დროულ შესრულებას მოითხოვს. ყველაფერი ერთმანეთზეა დამოკიდებული.

მიმდინარე წელს გაკეთდება ხიდბოგირები, ამოიწმინდება საწრეტი არხები, მოიხრეშება ქუჩები, მისახედია საბავშვო ბაღი. ასევე ვფიქრობთ, უპირველესად, სოფლის საჭიროებისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით ტრაქტორის შეძენას. ეს ჩვენი და სოფლის მცხოვრებთა სურვილია. ვნახოთ, თუ შევძლებთ...

***ხალხი ინფორმირებულია, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრო გეგმავს სასოფლ-სამეურნეო ბარათების დარიგებას, რომლითაც ხალხი შეძლებს ხვნის სერვისის მოგვარებასა და სასუქების შეძენას. თქვენთან როდიდან გაიცემა და როდიდან შეძლებენ მის გამოყენებას. ე.ი. რა ეტაპზეა ეს პროცესი?***

–გაზაფხული თანდათან ძალაში შედის, ცოტაც და დაიწყება ხვნათესვა, ახლა მთავარია, მოსახლეობას დროულად გაეცეთ აღნიშნული ბარათები და სამუშაოები თავის დროზე და ხარისხიანად შესრულდეს, ასევე შეძენილიქნას სასუქები... ხელისუფლებისაგან ხალხისთვის ეს ძალზე საჭირო, აუცილებელი და მისასალმებელი შემოთავაზებაა. იმედია, შედეგიც სასურველი იქნება.

***ბატონო გოჩა, წარმატებული იყოს თქვენი ფეხი ამ პასუხსაგები მისიის შესრულებაში, რომელიც დაგეკისრათ, როგორც სოფლის რწმუნებულს ნოჯიხევის მუნიციპალიტეტში თქვენ კარგად იცით, ადამიანს ცოტა რამ ახარებს და ცოტა რამ სწყინს. მინდა ხალხისთვის ბევრი კარგი საქმის გაკეთება შესძლოთ და მათთვის საინტერესო საქმეები შემოგეთავაზებინოთ.***

***ხომ არ მოგიფიქრებიათ ისეთი რამ, რომელიც ხალხს შესთავაზოთ და საერთო საქმე დადებითად გადაჭრათ, რასაკვირველია, უპირველესად ხალხის სასარგებლოდ?***

–მართალი გითხრათ, ჩანაფიქრი მაქვს, მაგრამ ჯერჯერობით მისი გახმაურებისაგან თავს შევიკავებ.

***ჯერ ნაადრევია ამ კითხვის დასმა, მაგრამ მაინც, რთულია სოფლის ხელმძღვანელის როლი. როგორ გგონიათ, შეძლებთ ბოლომდე დაიხარჯოთ. (იმედია, რადგანაც ისეთი მშობლების შვილი ბრძანდებით, ყველაფერი გამოგივათ!)?***

–სულ რამდენიმე დღეა, რაც ამ თანამდებობაზე დავინიშნე, თუმცა ვაცნობიერებ დაკისრებულ მძიმე ტვირთს და დიდ პასუხისმგებლობას.

ვეცდები, გამოვიყენო ჩემში არსებული პოტენციალი და სოფლის საკეთილდღეოდ ბოლომდე დავიხარჯო.

***ესაუბრა***
***ნანი კილასონია.***

# ჩემი სიამაყე—დედაუნივერსიტეტი



ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, დიმიტრი უზნაძე, აკაკი შანიძე, კორნელი კეკელიძე, პეტრე მელიქიშვილი... ესაა არასრული სია XX საუკუნის იმ კორიფეებისა, რომლებმაც ქართული საგანმანათლებლო ტრადიციების გათვალისწინებით, საფუძველი ჩაუყარეს საქართველოში ევროპული ტიპის უმაღლეს სკოლას.

კავკასიაში პირველი, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმიწო უნივერსიტეტი, მისი დაარსების მნიშვნელობა ეროვნული თვითშეგნების გაძლიერების საქმეში, არ განიცდის ქართველი ხალხის მიერ აღიარებისა და მადლიერების ნაკლებობას, რაც საზოგადოების მხრიდან გამოიხატება კიდეც მისი პრესტიჟულობისა და პირველობის აღიარებას. ჩემთვის, განსაკუთრებით, როგორც ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტისთვის, ძალიან საპასუხისმგებლოა. უნივერსიტეტის არსებობასა და ფუნქციონირების მნიშვნელობაზე საუბარი... მხოლოდ ორიოდე სიტყვით იმ შთაბეჭდილებებსა და განცდების შესახებ, რაც მე, როგორც თსუ-ს სტუდენტს, მაკავშირებს ამ უნივერსიტეტთან.

„ჯავახიშვილი?!.“ მახსოვს, ეს იყო პირველი ერთადერთი სიტყვა, რომლის თქმაც შევძელი 2010 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების გაცნობის შემდეგ... სიტყვა, რომელიც გამოხატავდა უფრო გულწრფელ გაოცებას, ვიდრე პასუხისმგებლობას, რომ მივიღე იმ უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი, რომლის დამაარსებელმა ქართველების „ხელიხელსაგოგმანებელი“ ეროვნული თვითმყოფადობის იდეას უნივერსიტეტის ფორმა მისცეს. მხოლოდ უნივერსიტეტის ეზოში შესვლისას ვიგრძენი, რომ იწყებოდა „რაღაც სხვა“, რომელიც ერთდროულად იყო რეალური და არარეალურიც. საოცარმა და საოცნებო ატმოსფერომ, რომელიც სუფევს უნივერსიტეტის კედლებში, გამიჩინა სიახლეებისა და საინტერესო სტუდენტური ცხოვრების მოლოდინი, რომელიც დღესაც არ გამნელებია და სრულიად ბუნებრივად, რადგან ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს საშუალება გვაქვს მონაწილეობა მივიღოთ საუნივერსიტეტო ცხოვრების ყველა სფეროში. მე ვსწავლობ სოციოლოგიის მიმართულებაზე და ჩვენთვის, ისევე, როგორც სხვა პროფესიის წარმომადგენლებისთვის, ძალზე მნიშვნელოვანია პრაქტიკული გამოცდილება, რაშიც დიდ დახმარებას გვიწევენ ჩვენი მიმართულების პროფესორები, განსაკუთრებით, არ შემიძლია არ აღვნიშნო ბატონი ამირან ბერძენიშვილი, რომელიც ცდილობს სტუდენტებს გადმოგვცეს როგორც თეორიული ცოდნა, ასევე პრაქტიკულ საქმეში მონაწილეობის შესაძლებლობა. მეგობრებთან ერთად, რამოდენიმე სოციოლოგიურ კვლევაში მივიღე მონაწილეობა, რაც ჩემთვის პირველ სოციოლოგიურ „ნათლობას“ წარმოადგენდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია აქტიურად ახდენს სტუდენტების იდეების, ინიციატივების წახალისებას. მაგალითისთვის, უკვე მეორე წელია ხორციელდება, სტუდენტების მიერ ინიცირების პროგრამა–„თსუდესპანი“, რომელიც გულისხმობს სკოლებში აბიტურიენტებისთვის (და არა მხოლოდ) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ მაქსიმალურად ამომწურავი და ყოვლისმომცველი ინფორმაციის მიწოდებას. მე თსუ-ს დესპანობის შესაძლებლობა მომეცა მშობლიური ხობის მუნიციპალიტეტის ქვემო ქვალონის თემის საჯარო სკოლაში. მოსწავლეებთან შეხვედრამ წარმატებით და საინტერესოდ ჩაიარა როგორც ჩემთვის, ასევე მომავალი სტუდენტებისთვის, რასაც შეხვედრის ბოლოს მათი შეკითხვები და შეფასებები მოწმობდა. ბედნიერი ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა აბიტურიენტებისთვის ამეხსნა საკუთარი გამოცდილების ხარჯზე თუ რატომ არის სწორი არჩევანი თსუ, რომლის წამყვან საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებად აღიარებას საფუძვლად უდევს არა მხოლოდ უნივერსიტეტის ისტორიული წარსული, არამედ ამ წარსულის წარმატებით გაგრძელების ტრადიციაც.

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა თავისი არსებობის მნიშვნელობად აქცია ქართველი ერის მისწრაფება იყოს თვითმყოფადი და თავისუფალი. 95 წელია უნივერსიტეტი წარმატებით ემსახურება როგორც ტრადიციას, ისე თანამედროვეობას.

ჩემთვის ბედნიერება და პასუხისმგებლობაა, რომ ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი მქვია.

***თეონა კვარაცხელია,***
***III კურსის სტუდენტი.***



## ვიდრე საგაზაფხულო ხვნა-თესვა დაიწყება ——————————————

სანამ საგაზაფხულო თემაზე გადავიდოდე, მინდა გაზეთის მკითხველებს მივაწოდო ერთი სასიამოვნო ცნობა, რომელიც ერთ-ერთ გაზეთში „ალმოვაჩინე“ და რომელიც ალბათ, არც თუ ისე შორეულ წარსულში ფართო საზოგადოებისთვის ყველა საინფორმაციო წყაროთი ცნობილი იქნებოდა. საქართველო თურმე წელს არ აპირებს სესხის აღებას მსოფლიო სავალუტო ბანკიდან (როგორც ეს ყოველწლიურად ხდებოდა) და რომ წელსვე დაიწყება არსებული ვალის ნაწილობრივი დაფარვაც...

როგორც ხედავთ, არც თუ ისე ცუდად ყოფილა საქმე, როგორც ამას მავანნი და „გამარჯვებული ხალხის“ ტელევიზია „რუსთავი-2“ გვამცნობდა:–„ისე ანადგურებენ საქართველოს ეკონომიკას, რომ ამის ყურება და მეტის მოთმენა არაფრით არ შეგვიძლია, თორემ გასკდა გულიო“...

დიდი მადლობა ბატონ ნოდარ ხადურს ასეთი დროული და სასიხრულო განცხადებისთვის, რამაც ჩვენ რწმენა განგვიმტკიცა, ხოლო ზოგიერთები და მათი ტელევიზია იხსნა „ობშირნი“ ინფარქტისაგან...

არ შეიძლება ამას კიდევ ერთი პატარა ცნობაც არ მოვაყოლო (რომელიც უშუალოდ სოფლის მეურნეობასთანაა კავშირში!)–რომ ციტრუსების ექსპორტი წინა წელთან შედარებით გაზრდილა თურმე, არც მეტი, არც ნაკლები 2-3 ჯერ! ეს მაშინ, როცა ახალ ხელისუფლებას ცალი ფეხიც კი არ ჰქონდა აკვნიდან გადმოდგმული... არა და, იმავე ტელევიზიით, არჩევნებამდე სულ ცოტა ხნით ადრე „გვაიმედებდნენ“, რომ მხოლოდ ისინი შეძლებდნენ უკრაინაში მათ მიერ შეგულებულ ბაზრებში ციტრუსის მთელი მოსავლის დაბინავება-რეალიზაციას. არადა, კოლუმბის ექსპედიციას ამერიკაში დამხვდარი მეგრელივით არ გამომივიდეს და ბატონი ვანოს მიერ „შეგულებულ“ ბაზრებთან ჩვენ ხობელი კოოპერატორები 40-იოდე წლის წინ ვთანამშრომლობდით და ვაბარებდით ციტრუსის „N“ რაოდენობას, თანაც ბარტერული წესით.

ასე, რომ ეს გზები ჩვენთვის არც უცხოა და არც გაუკვალავი. მთავარია, ქართულ სოფელთან ერთად აღსდგეს კოოპერაცია (რომელიც ქართულ სოფელთან ერთად მოკლეს!) და ყველაფერი ნაცადი გზით წავა...

მართალია, გამოუსწორებელი ოპტიმისტი ვარ, მაგრამ მაინც მაქვს გარკვეული შიში საგაზაფხულო სამუშაოების ახალი მოთხოვნის შესაბამისობაში შესრულების კუთხით. სერიოზული გამოცდების წინ ვდგავართ, ადვილი არ არის მიწას აცდენილი კაცის მიწისკენ მობრუნება, არა და ჩვენს გასაკეთებელ საქმეს სხვა არ გააკეთებს. საქართველოს მთავრობის საგაზაფხულო პროგრამის მასალებში (რაზედაც ხელი მიმიწვდა) თითქმის ყველაფერზეა ლაპარაკი, მაგრამ. როცა ნულიდან არის დასაწყები მუშაობა და არ გაგვაჩნია არავითარი სახის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საჭირო ტექნიკის მინიმალური რაოდენობა, ძნელია წარმატებულ სტარტზე საუბარი. ამიტომ თავიდანვე, ბარათების დარიგებიდან მიწის გაფხვიერებამდე ჩასატარებელი ყველა ოპერაცია უნდა იყოს რაც შეიძლება გონივრულად და დროულად დაგეგმილი. უბრალოდ, ავიღოთ ყველაზე მარტივი საკითხი: რამდენი ჰექტარია გაზაფხულზე მოსახნავ-დასადისკი? რამდენი ტრაქტორი დასჭირდება ამას? როდის შეგვეძლება დაახლოებით ხვნის დაწყება? როდის დამთავრდება ნიადაგის მომზადება დასათესად? და, რაც მთავარია, და რაც ჩვენზე არ არის დამოკიდებული, როგორი ამინდები იქნება. ხომ არ იქნება ისე, რომ მაისში ხვნა არ გვქონდეს დამთავრებული? მე მახსოვს რიცხვი და ალბათ ყველას, ვისაც წლების მანძილზე უმუშავნიათ სოფლის მეურნეობის სისტემაში–10 მაისი, რის შემდეგ დათესილი სიმინდის ფართობები არ ითვლებოდა სამარცვლედ და მას გვითვლიდნენ როგორც სასილოსეს. ყოველივე ამას დამატებული, რომ იქნება აუცილებლად გაუგებრობები, ტაციობა, დაპირისპირება მენაკვეთეებს შორის, მაგრამ ეს არ უნდა გადაიზარდოს ქაოსში. ყველა მენაკვეთე უნდა იყოს დაინტერესებული, რომ თავისი ნაკვეთი გამზადებული ჰქონდეს დროულად, რომ ხვნის საერთო გრაფიკიდან არ ამოვარდეს. ურიგო არ იქნება თუ კი ძველი ტრაქტორისტები, რომლებსაც ჯერ კიდევ შემორჩათ სხვადასხვა ტექნიკა, რაღაც ფორმით ჩართულიქნან ამ პროგრამაში.

ჩემი დამოძღვრისაგან ყველას ჯვარი წერია, მაგრამ დიდი სურვილი მაქვს, რომ ახალგაზრდობამ გაამართლოს. სოფლის მეურნეობაში 8 საათიანი სამუშაო დღე არ არსებობს!

ჩვენს მუნიციპალიტეტში არის მობილიზების და მხარში ამოდგომის დიდ ტრადიციები. არ გამიკვირდება თუ ამ მიზნით შეიქმნება შტაბი, რომელიც უხელმძღვანელებს მხოლოდ საგაზაფხულო სამუშაოების გონივრულ წარმართვას (თუ ახლა შექმნილი არ არის).

თითქოს იოლი საქმეა, მაგრამ მარტო ბარათით მოსარგებლის, სამუშაოს შემსრულებლის და მომწოდებლის ვალდებულებების შესრულების შესახებ ცნობების შეგროვება, ხელის მოწერები და ბეჭდების დასმა, არც ისე ადვილია, როგორც მე ახლა ამის შესახებ ვწერ. ბევრი კითხვაა, რომელიც დროულ პასუხს საჭიროებს, მაგალითად: თუ კი ხელშეკრულებით ვალდებული ტექნიკა ვერ უზრუნველყოფს სამუშაოს, მაშინ, რა ფასი ექნება გამოუყენებელ ბარათებს?

არა და გაზაფხული ისეთი დროა, როცა ყოველი გამოუყენებელი დღე შენს საწინააღმდეგოდ მოქმედებს. „ჩავარდნას“ არავინ არ გვაპატიებს, მით უმეტეს, როცა ქვეყნის წინსვლაში გარკვეული პოზიტივებია გამოკვეთილი. ამიტომ გაზაფხულზე „ჩაჭრილებისათვის“, „საშემოდგომო გამოცდები“ არ იქნება.

ცუდი არ იქნებოდა მოსახლეობას დროული და სისტემატური ინფორმაცია ჰქონდეს მუნიციპალიტეტში, ამ კუთხით განხორციელებული და მიმდინარე ღონისძიებების შესახებ. საინტერესოა, რა კუთხით მოხდება მუნიციპალიტეტის განვითარება, რა დარგებს მიექცევა განსაკუთრებული ყურადღება და ა.შ. (რასაკვირველია მუნიციპალიტეტის განვითარების პერსპექტიული გეგმიდან გამომდინარე).

იმედი მაქვს, ჩვენი გაზეთი, რომელსაც საძებნი არა აქვს „საგანგებო სიტუაციაში“ მუშაობის ფორმები და მეთოდები, იტყვის თავის სიტყვას, რომლის მდიდარი გამოცდილება ნამდვილად აქვთ. ადრე გაზეთის რედაქციის როლიც დიდი იყო. ისინი დაიდოდნენ სოფლებში და ზუსტად ასახავდნენ ამ კუთხით ამა თუ იმ სოფელში მიმდინარე პროცესებს და ამით სტიმულს აძლევდნენ იმ ადამიანებს, რომელთა მხრებზე გადადიოდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები.

# ხეში წყალი ჩადგა!

უპირველეს ამოცანად მიმაჩნია, მოსახლეობას დროულად და სისტემატურად ინფორმირებული იყოს განსახორციელებელ და მიმდინარე ღონისძიებების შესახებ. ამაში კი გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას ჩვენმა რაიონულმა გაზეთმა, რომლის მუშაკებს ასეთ „საგანგებო სიტუაციაში“ მუშაობის სტილი, ფორმები და მეთოდები ნამდვილად საძებნი არა აქვთ.

ვწერ ახლა ამ წერილს და იმასაც ვფიქრობ, შეიძლება ზოგიერთმა მკითხველმა იფიქროს, კაცი მოცლილია და ალბათ წერას გულს აყოლებს, თორემ მას ვინ ავალებს „არამკითხე მოამბის“ ფუნქციის შესრულებასო“, და მართალიც იქნება, ვინც არ მიცნობს იმის საყურადღებოდ ვიტყოდი, რომ არა ვარ „მზარდი სამეურნეო“ მუშაკი, რომ დაწინაურებისთვის „ვიხარჯებოდე“, უბრალოდ, ჩემი მუშაობის გამოცდილება მაფიქრებს და მალაპარაკებს იმის შესახებ, თუ რაოდენ ძნელია „სათანადო მომზადების“ გარეშე შეეჭიდო ჯერ კიდევ „გაუკვალავ საქმეს“.

საინფორმაციო წყაროებიდან ვიცი, რომ ძალიან ბევრი წინააღმდეგობა შეხვდათ იმ რეგიონში, სადაც ეს სამუშაოები ჩატარდა, ან ამჟამად მიმდინარეობს.

ამის მეტი არაფერი არ მამოძრავებს!

წარმატებებს გისურვებთ მხვნელ-მთესველებო!

**P.S. სანამ სათაურიდან „ხეში წყალი ჩადგა!“ ბოლომდე ჩავიდოდი, ორი დღით ადრე დაწყებული ვაზის გასხვლა გავაგრძელე და... ვაზს „ცრემლები“ გადმოუვიდა. ე.ი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხეში წყალი იმდენად ჩადგა, რომ გადმოდის კიდევაც. ე.ი. გაზაფხულია, გაზაფხულია მთელი სიგრძე სიგანით. დროა ვიხმოთ–ქუდზე კაცი!**

**თორემ გურულები მგონი ქუდზე ორი კაცის გამოყვანას აპირებენ!**

**...ეს ისე, კარგი განწყობისათვის.**

***გოგი ბუკია***

## მოსახლეობაში სასოფლო-სამეურნეო ბარათები რიგდება




მეურნეობის განვითარების საგაზაფხულო პროგრამის ფარგლებში, ხობის მუნიციპალიტეტის სოფლებსა და თემებში სოფლის სპეციალური ბარათების დარიგება დაიწყო. ამ მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მონაწილეობით დაიგეგმა და განხორციელდა სოფლის მოსახლეობის საანკეტო გამოკითხვა „კარდაკარ“-ის მეთოდით, რის შედეგადაც დადგინდა ფერმერთა და მათ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთების და ფართობების რაოდენობის დაზუსტება. სასოფლო–სამეურნეო ბარათს დაახლოებით 14 500 ბენეფიციარი მიიღებს. მცირემიწიანი ფერმერებისთვის ბარათების დარიგების პროცესს, ადგილებზე მუნიციპალიტეტის რწმუნებულები უზრუნველყოფენ.

მცირემიწიანი ფერმერები სასოფლო-სამეურნეო ბარათის ფორმით მიიღებენ მათ სარგებლობაში არსებული მიწის ფართობის კატეგორიის შესაბამის სარგებელს. კერძოდ:

0.25 ჰექტარზე მცირე ზომის სასოფლო-სამეურნეო მიწის მესაკუთრეები, რომელთა კუთვნილ ნაკვეთებშიც ტექნიკის შესვლა ვერ ხერხდება, მიიღებენ 100 ლარის ღირებულების ნომინალურ სასოფლო-სამეურნეო ბარათს, რომლითაც შესაძლებელი იქნება შესაბამისი ღირებულების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონლის და ინვენტარის შეძენა.

0.25 ჰა-დან 1.25 ჰა ფართობის მიწის მესაკუთრეები (ბენეფიციართა ძირითადი ჯგუფი), რომელთაც გააჩნიათ სახნავი ფართობი, მიიღებენ 2 სახის სასოფლო-სამეურნეო ბარათს: 1 ბარათი (კომბინირებული)–ნიადაგის ხვნა, ხნულის დადისკვა/გაფხვიერება და 2 ბარათი (ნომინალური)–სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონელი და ინვენტარი 300 ლარის ღირებულებით.

ის ფერმერები, რომელთაც აქვთ ანალოგიური ფართობის (0.25 ჰა-დან 1.25 ჰა-ს ჩათვლით) მრავალწლიანი ნარგაობა, მიიღებენ მხოლოდ ნომინალურ სასოფლო-სამეურნეო ბარათს 510 ლარის ღირებულებით 1 ჰექტარზე გადაანგარიშებით, რომლითაც შეეძლებათ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონლისა და ინვენტარის შეძენა.

1.25 ჰა-დან 5 ჰა-მდე სახნავი მიწის ფართობის, ან მხოლოდ მრავალწლიანი ნარგაობის მქონე ფერმერები მიიღებენ მხოლოდ ნომინალურ 640 ლარის ღირებულების სასოფლო-სამეურნეო ბარათს, რომლითაც შეეძლებათ მხოლოდ შესაბამისი ღირებულების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონლის და ინვენტარის შეძენა.

მიმდინარე წელს „მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“ განხორციელებისთვის სულ 180 მლნ ლარზე მეტია გათვალისწინებული.

## „მუშა სამარიტელთა“ (ASB) ტრენინგი ხობში



გერმანიის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ჰუმანიტარული დახმარების ფონდის 'მუშა სამარიტელთა“ ფინანსური მხარდაჭერით, ხობის მუნიციპალიტეტში ხორციელდება კოლექტიური ცენტრების და მეზობელი თემების მაცხოვრებელთათვის კატასტროფის რისკის შემცირების ტრენინგები ინკლუზიური მეთოდით.

პროექტი ხორციელდება საქართველოს ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს; შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის; იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობის“ თანადგომით.

მათი მიზანია, კოლექტიურ ცენტრებში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირებისა და მეზობელი თემების დაუცველობის შემცირება მედიცინის გარეშე, პირველად სამედიცინო დახმარებამდე. კატასტროფის შემთხვევაში სათანადო ცოდნის ამაღლება და სამოქმედო გეგმის გავრცელება.

პროექტი რამდენიმე ეტაპად ხორციელდება. I ეტაპი გულისხმობს 2 დღიან ტრენინგს, სადაც ჩართული არიან ხობის მუნიციპალიტეტის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის თანამშრომლები. II ეტაპი მარტის თვეშია დაგეგმილი. თვით პროექტი კი 2013 წლის ბოლომდეა გაწერილი.

**რესპოდენტი, რომელიც მინდა წარმოგიდგინოთ, საზოგადოებისათვის კარგად ნაცნობი, მრავალი თაობის აღმზრდელი ქალბატონი ლალი სურმავა გახლავთ. თუ როგორია მის მიერ განვლილი ცხოვრების გზა, რატომ უყვარს გამორჩეულად წიგნი „დიდი სახლის პატარა დიასახლისი“, როდის შეუყვარდა პირველად და რა არის მისთვის ყველაზე დიდი ნატვრა, ამ და სხვა საინტერესო თემებზე მასთან საუბრისას შეიტყობთ.**

# მე ბავშვებით ვცოცხლობ, თითოეულ მათგანში ვაგრძელებ სიცოცხლეს...“



***ქალბატონო ლალი, მოდით ასე დავიწყოთ, თქვენი მშობლები:***

–დედა–გული ჯალაღონია, პროფესიით პედაგოგი. მამა–ნიკოლოზ სურმავა, პროფესიით ინჟინერი. სამწუხაროდ ცოცხლები აღარ არიან.

***თქვენი ბავშვობა, საბავშვო ბაღი.***

–შუა ხორგის საბავშვო ბაღში დავდიოდით მე და ჩემი ძმა.

ზღაპრული ბავშვობა მქონდა. მშობლები არაფერს მაკლებდნენ. განებივრებული გოგონა ვიყავი, ცელქი და მოუსვენარი. პატარაობისას ურთულესი ოპერაცია გამიკეთეს. უფლის გვერდში დგომას პატარაობიდანვე ვგრძნობდი.

***წერა-კითხვა სკოლაში შესვლამდე იცოდით?***

–მიუხედავად იმისა, დედა პედაგოგი მყავდა, მას ჩემთვის წერა-კითხვა წინასწარ არ უსწავლებია.

***სკოლის პერიოდი.***

–ო, ეს პერიოდი ჩემთვის დაუვიწყარი და ტკბილად მოსაგონარია. მე-8 კლასამდე შუა ხორგის სკოლაში ვსწავლობდი, ჩემი პირველი მასწავლებლები იყვნენ ნუნუ სხულუხია და ვერა ჯობავა.

სწავლა ხობის №1 საშუალო სკოლაში განვაგრძე. უძლიერესი კლასი გვყავდა, რამდენი ცელქობა, ანცობა მახსენდება! პროფესიით პედაგოგი გახლავარ და რომ მახსენდება სკოლის წლები, ჩემს თავს კითხვას ვუსვამ: ნეტავ, მე რომ მასწავლებლების ადგილას ვყოფილვიყავი, რას ვიზამდი? მყავდა უსაყვარლესი მასწავლებლები: საშა ბერაია, მიშა დანელია, ლამარა ბუსქანძე, შალვა კალანდია, ჟორჟი ხასია თავისი ჩვეული იუმორით.

მოკლედ, ხობის №1 საშუალო სკოლაში გატარებულ წლებს რა დამავიწყებს!

***დამოუკიდებლად წაკითხული პირველი წიგნი გახსოვთ?***

–როგორ არა! ჰაირიეტ ბიჩერ-სტოუს „ბიძია თომას ქოხი“–მე-4 კლასში წავიკითხე.

***ყველაზე დიდი შთაბეჭდილება თქვენზე რომელმა წიგნმა მოახდინა და რატომ?***

–წიგნი ბევრი წამიკითხავს. ჯეკ ლონდონის „დიდი სახლის პატარა დიასახლისი“ მიყვარს ძალიან.

რატომ? იმიტომ, რომ მშობლების ნებიერა გოგომ ოჯახის შექმნის შემდეგ ჩემი თავი წარმოვიდგინე დიდი სახლის პატარა დიასახლისად. ყველა წიგნი თავისებურად მიმზიდველი და საინტერესოა.

***სტუდენტობის წლები.***

–ვსწავლობდი ა.ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. დავამთავრე დაწყებითი განათლებისა და მეთოდიკის ფაკულტეტი. სტუდენტური ცხოვრება გაგრძელება იყო ჩემს მიერ სკოლაში გატარებული წლების. შინაარსიანი და ხალისიანი სტუდენტობა მქონდა.

***თქვენი სიყვარულის ამბავი.***

–მეგონა, სკოლის პერიოდში შემიყვარდა, მაგრამ ალბათ მოწონება უფრო იყო, ვიდრე სიყვარული.

***ოჯახი.***

–ნათქვამია, „სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო“. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ხობში გამანაწილეს სამუშაოდ. აქ გავიცანი ელგუჯა ჭაჭია. უცნაურად ამიხსნა სიყვარული. მეუბნება წინააღმდეგი ხომ არ იქნები, ჩემს ქორწილში პატარძლად დაგპატიჟოო. გამეცინა, ჩვენ იდეალური ოჯახი შევქმენით.

***დედმამიშვილები.***

–მყავს ორი ძმა–ბუთხუზი და მამა იაკობი.

***შვილი.***

–მიუხედავად დიდი მონდომებისა, მყავს ერთი გოგონა, თამუნა ჭაჭია, 33 წლის, გათხოვილი, მეუღლე–ბესო ბუკია, ჰყავთ ორი შვილი: თეკლე და ნიკოლოზი.

***ბებიის ამპლუაში.***

–ბებიის ამპლუაში არაჩვეულებრივად ვგრძნობ თავს. შესანიშნავი ბებია ვარ. მყავს ორი მოსიყვარულე შვილიშვილი, მათზე ვზრუნავ, მათთვის ვცოცხლობ, მათზე ამომდის მზე და მთვარე.



***თქვენი ცხოვრების სამი ბედნიერი დღე.***

1. 6 წლის ასაკში ტრამვის გამო ურთულესი ოპერაცია გამიკეთეს. მეორედ დავიბადე!

2. შვილის შეძენის დღე–1980 წლის 8 იანვარი.

3. თამუნას გაბედნიერების დღე.

***რა არის თქვენთვის მასწავლებლობა?***

–პატარაობისას სულ მასწავლებლობანას ვთამაშობდი. დედის პროფესიამაც განაპირობა ალბათ. ინსტიტუტში ყოფნის დროს პრაქტიკას გავდიოდით თბილისის 23-ე საშუალო სკოლაში. მე მოვხვდი ქალბატონ დუშა სანიკიძის კლასში (მსახიობ ჟანრი ლოლაშვილის დედა). ნამდვილი, მოწოდებით პედაგოგი იყო. დღესაც მახსოვს მისი დამრიგებლური სიტყვები.

ასეთმა ადამიანებმა განაპირობეს ჩემი პედაგოგად გახდომა, მასწავლებლობა ჩემთვის მთელი ცხოვრებაა, მასწავლებლობამ ჩემი ცხოვრება სხვა შინაარსით დატვირთა.

***სკოლა და ბავშვები.***

–ხობის №2 საჯარო სკოლაში დავიწყე მუშაობა. ძალიან ახალგაზრდული კოლექტივი დამხვდა. დაწყებითის მასწავლებლები უძლიერესები იყვნენ, რაც დღემდე მოჰყვება სკოლას.

ბავშვები? მე ბავშვებით ვცოცხლობ. ვგრძნობ, რომ თითოეულ მათგანში ვაგრძელებ სიცოცხლეს! იმაზე დიდი ბედნიერება რა არის, პატარას ასწავლო „აი-ია“-ს კითხვა, დაეხმარო სწავლაში, გარე სამყაროს შეცნობაში, გაუღვივო კეთილშობილური გრძნობები...

***თქვენს მიერ ჩატარებული პირველი გაკვეთილი თუ გახსოვთ?***

–პირველი გაკვეთილის გეგმა ქალბატონმა შურა ჯობავამ დამაწერინა. სასწავლო ნაწილის გამგე ქალბატონმა ვერა ებანოიძემ შემიყვანა კლასში და აბა, პირველი გაკვეთილი როგორ არ მემახსოვრება.

***თქვენ და სამზარეულო.***

–ხომ გითხარით, დიდი სახლის პატარა დიასახლისი ვარ–მეთქი. მიყვარს სამზარეულოში ფუსფუსი.

***მეოცნებე თუ ხართ?***

–მეოცნებე არასდროს ვყოფილვარ. ალბათ იმიტომ, რომ აუხდენელი ოცნება არ მქონია.

***ამბიციური ხართ?***

–არა.

***ეკლესიას რა როლი აკისრია თქვენს ცხოვრებაში?***

–დიდი სიყვარული მაქვს უფლისა. ვლოცულობ, დავდივარ ეკლესიაში და ვცდილობ, ყველა ადამიანს გავუკეთო სიკეთე.

***თქვენი ყველაზე დიდი ნატვრა.***

–ჩემი ყველაზე დიდი ნატვრაა, დედა ცოცხალი მყავდეს.

**ნინო გერგაია.**

## ხობელი მოჭადრაკეების გამარჯვება

ქ. ზუგდიდში სამეგრელო-ზემო სვანეთის ჭადრაკის ფედერაციის ორგანიზებით ჩატარდა რეგიონალური ჩემპიონატი 16-10 წლის ჭაბუკთა და გოგონათა შორის, სადაც რეგიონის 66-მა მოჭადრაკემ მიიღო მონაწილეობა. ტურნირი შვეიცარიული სისტემით-ცხრა ტურად გაიმართა და 16 წლიან მოჭადრაკეთა შედეგი ფიდეს რეიტინგით დაითვალა.

10 წლიან გოგონათა შორის, ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ სასპორტო სკოლის ნორჩმა მოჭადრაკემ-8 წლის დიანა ლომაიამ 7 ქულით პირველ ადგილი დაისაკუთრა.

16 წლიან ჭაბუკთა შორის, 11 წლის ლუკა შამუგიამ 6,5 ქულით მესამე, ხოლო 14 წლის ამირან შონიამ 6 ქულით მეოთხე ადგილი დაიკავეს.

16 წლიან მოჭადრაკეთა შორის გამარჯვებულებმა, მსოფლიო და ევროპის პირველობის შესარჩევი ტურნირის-საქართველოს უმაღლესი ლიგის საგზური მოიპოვეს.

## ხობელი მოჭიდავეების ასპარეზობა

ქ. თბილისში ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ორგანიზებით ჩატარდა ჭაბუკთა შორის ვლადიმირ მაისურაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ნაკრების 287-მა სპორტსმენმა.

ტურნირში მიწვეული იყო ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ სასპორტო სკოლის, ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ნაკრების 12 სპორტსმენი, მწვრთნელ - ბაკურ ბუკიასთან და მსაჯ - სურაჯ გვასალიასთან ერთად. სპეციალისტების განსაკუთრებული ყურადღება და მოწონება დაიმსახურეს ნაკრების წევრებმა: ლევან ბერიძემ და ჯონი ხეცურიანმა.

## მოჭიდავეთა წარმატებული ასპარეზი თერჯოლაში

ჭიდაობის ეროვნული ფედერაციისა და ა(ა)იპ „თერჯოლის სასპორტო სკოლის“ ორგანიზებით ქ. თერჯოლაში ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონისა და ევროპის პირველობის პრიზიორის მირიან გიორგაძის სახელობის მე-4 რესპუბლიკური ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 1998-2000 წლებში დაბადებულთა შორის.

აღნიშნულ ტურნირში საქართველოს სასპორტო სკოლებიდან 279 მოჭიდავე იღებდა მონაწილეობას. მათ შორის ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრ“-ის სასპორტო სკოლის 17 სპორტსმენი. შეჯიბრი წარმატებული აღმოჩნდა 42 კგ წონით კატეგორიაში ნიკა ყორშიასა (მწვრთნელ-მასწავლებელი: სურაჯ გვასალია) და თეიმურაზ გოგოხიასთვის (მწვრთნელ-მასწავლებელი–ბაკურ ბუკია), 46 კგ წონით კატეგორიაში შოთა იოსავასა (მწვრთნელ-მასწავლებელი–ბაკურ ბუკია) და ჯონი ხეცურიანისთვის (მწვრთნელ-მასწავლებელი–ალმასხან ხუნჯუა). რომლებიც ტურნირის ბრინჯაოს მედლის მფლობელები გახდნენ.

## კადრები



**ნომრის სტუმარია ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრის“ ახალი დირექტორი ქალბატონი ნორა იოსავა.**

# ახალი ხელმძღვანელის ახლებური ხედვა

**ქალბატონო ნორა, არ დავიწყებ კითხვას საიდან მოდიხართ, ვინ ხართ... რადგან თქვენ ხობში ყველა ძალიან კარგად გიცნობთ. ამიტომ პირდაპირ კითხვაზე გადავალ... ბევრი საპასუხისმგებლო სამსახურის შემდეგ ამასწინათ ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრის უფროსად დაინიშნეთ, რას გვეტყვით ახალ თანამდებობაზე?**

–დირექტორობა არასოდეს არ იყო ჩემი ამბიცია, ცხოვრებამ ძალიან ბევრი გამოცდა მომიწყო განათლების სფეროს სხვადასხვა ობიექტზე მუშაობისას (მათ შორის განათლების განყოფილებაში 20 წელი), მაგრამ უფლის წყალობით ყველაფერს მოვერგე ისე, როგორც ეს სჭირდებოდა შესაბამის სამსახურებს და არც თუ ისე ცუდად. ჩემი მუშაობის განვლილ ფურცლებს რომ გადავხედავ, ვფიქრობ, რომ არ ვიყავი ცუდი ხელმძღვანელი, დაკისრებულ მოვალეობას ყოველთვის მთელი პასუხისმგებლობით ვასრულებდი, პასუხიც ყოველთვის იმ საზოგადოებიდან მიმიღია, ვისთანაც შეხება მქონია. მინდა გითხრათ, რომ ყოველთვის ვიღებდი დადებით მუხტს ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე. ძალიან დიდი მადლობა იმ საზოგადოებას, ვისგანაც მე ამ მუხტს ვღებულობდი, თუმცა მქონდა დაუმსახურებლად განაწყენების მომენტიც, რომელიც ჩემს ცხოვრებას შავ ლაქად გაჰყვება.



სწორედ, ახალმა ხელისუფლებამ დააფასა ჩემს მიერ განვლილი გზა და შემომთავაზა პროფესიული სწავლების ცენტრის დირექტორობა, განსაკუთრებული მადლობა მათ ჩემი დაწინაურებისთვის. გულწრფელად გეტყვით, რომ ეს იყო ძალიან მოულოდნელი შემოთავაზება. ვფიქრობ, ჩემი ერთგულებით, საქმისადმი უდიდესი პასუხისმგებლობით ვუპასუხო ამ ნდობას.

ჩემი 35 წლიანი მუშაობის გამოცდილებამ და სხვადასხვა სამსახურთან ურთიერთობამ ბევრი რამ შესძინა ჩემს პიროვნებას, რომ კოლექტივთან და საზოგადოებასთან მიმართებაში ვყოფილიყავი პუნქტუალური, კომპეტენტური და არა ამბიციური.

**თქვენი პირველი დღე ახალ სამსახურში, ახალ ამპლუაში?**

–რადგანაც საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის საკმაო გამოცდილება მქონდა, სისტემა ჩემთვის უცხო არ იყო და ვფიქრობ, შესაბამისად არ გამიჭირდება.

რაც შეეხება ჩემს პირველ დღეს ახალ სამსახურში, კოლექტივისა და ახალი საქმეების გაცნობით წარიმართა, თანამშრომლებს შორის ბევრი ნაცნობი აღმოვაჩინე. დამხვდა ძალიან კარგი, საქმიანი გარემო. ჩემთვის პრობლემა არასოდეს ყოფილა ნებისმიერ კოლექტივთან შეგუება.

**რას ემსახურება სასწავლებელი, რა ხდება, რამდენად აქტიურია თქვენი სამსახურის მუშაობა?**



–პროფესიული სწავლების ცენტრი ემსახურება მოკლევადიანი პროფესიული ცოდნის გაღრმავებას, არის ძალიან საინტერესო სახელობო პროფესიები. მუშაობს 11 სახელობო ჯგუფი, მათ შორის ავტოსატრანსპორტო საშუალებების B, BC და T კატეგორიის მძღოლების (ფასიანი) ჯგუფები.

სახელობო სპეციალობებიდან უფასო სწავლებაა თექის დამუშავების, კომპიუტერული ტექნიკის მოხმარების, მინანქრის ხელოსნის, მდივან-რეფერენტის, ქალისა და მამაკაცის სტილისტის, ინგლისური ენის, გობელენის და მეფილე-მომპირკეთებლის ჯგუფები.

**რას იტყოდით სწავლების მეთოდებზე, სამსახურის პრინციპებზე?**

–სწავლების მეთოდები ითვალისწინებს მოკლევადიან მოსამზადებელ კურსებს (ორთვიანი ან სამთვიანი). ჯგუფები მუშაობენ შესაბამისი პროგრამებით, გააჩნიათ სილაბურები და კოლოკვიუმები, რომელიც გათვლილია განსაზღვრული კრედიტ-საათებზე. დამთავრების შემდეგ ღებულობენ სერთიფიკატს.

**რა ასაკის ადამიანები ეუფლებიან სწავლებას თქვენს ცენტრში, რა დარგებში ხდება მათი დასპეციალისტება?**

–სწავლების კურსის გავლა შეუძლია ნებისმიერი ასაკის ადამიანს, ასაკის გამო შეზღუდვა არ არის. ასე რომ, მსურველებს ვიწვევთ ნებისმიერი სახელობო პროფესიების შესასწავლად.

**რას გვეტყვით მათ დასაქმებაზე, ისიც თქვენს ნომენკლატურაში შედის?**

–სასწავლებლის კურსდამთავრებულები დასაქმებულნი არიან მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სამსახურში.

**რითი გამოირჩევა ეს ცენტრი სხვა წინამორბედებისაგან, რას იტყოდით არსებულ დარგებზე?**

–პროფესიული სწავლების ცენტრის წინარმობედი იყო ნოჯიხევის №30 პროფესიულ ტექნიკური სასწავლებელი, რომლის ბაზაზეც დღეს განაგრძობს პროფესიული სწავლების ცენტრი ფუნქციონირებას, რომელიც ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2010 წლიდან დააფუძნა და ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

ცენტრს გააჩნია ძალიან კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საცხოვრებელი კორპუსები, სადაც ჩასახლებულია დევნილები, აქვს სასწავლო და ადმინისტრაციული კორპუსები შესაბამისი კაბინეტ-ლაბორატორიებით და აღჭურვილობით.

**თქვენი სამომავლო გეგმები...**

–სამომავლოდ ვფიქრობთ, რომ ცენტრი დაუბრუნდეს ისევ განათლების სამინისტროს დაქვემდებარებას, რაშიც ხელს გვიწყობს მატერიალური ბაზა და აღჭურვილობა, რომელიც იქნება არა მოკლევადიანი გადამზადების კურსი, არამედ პროფესიული კოლეჯი, ეს კი ხელს შეუწყობს ჩვენს პირობებში მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობას, რომლებიც ვერ ახერხებენ უმაღლესი განათლების მიღებას, შეისწავლონ პროფესიები აგრარულ სექტორში და სხვადასხვა მიმართულებით მიიღონ შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

**ესაუბრა ნანა კემულარია.**

---

## ინტერნეტიდან

# ადამიანის ორგანიზმის იდეალური ბიორიტმი

ამერიკელმა ბიოლოგებმა რამდენიმეწლიანი დაკვირვების შემდეგ ე.წ. „საათობრივი განრიგი“ შეადგინეს. სპეციალისტების თქმით, ჩვენი ორგანიზმი საათის მექანიზმს ჰგავს, რომელიც განსაზღვრულ რიტმს ემორჩილება და საკმარისია, რომელიმე „ზამბარა“ მწყობრიდან გამოვიდეს, რომ მაშინვე პრობლემები იჩენს თავს. ადამიანის ორგანიზმის იდეალური ბიორიტმი ასე გამოიყურება:

07:00 – ეს არის იდეალური დრო გაღვიძებისთვის, რადგან თირკმელზედა ჯირკვლები ჰორმონების პირველ „ულუფას“ გამოყოფენ. სწორედ ის ახდენს გავლენას პულსის გახშირებასა და სისხლის მიმოქცევის აჩქარებაზე.

07:30 – ვარჯიშის ან მცირე გასეირნების წყალობით დილიდანვე მიიღებთ მთელი დღისთვის საჭირო ენერგიას.

08:00-09:00 – კუჭი აქტივობის მწვერვალზეა. ამ დროს იგი სწრაფად გადაამუშავებს საკვებს და მაქსიმალური რაოდენობის ენერგიით ამარაგებს ორგანიზმს. უმჯობესია, საუზმეზე მიირთვათ შვრიის ფაფა, ხილის იოგურტი, ერთი ნაჭერი ხორბლის პური. ყავის ნაცვლად კი დალიეთ მწვანე ჩაი, ეს შრომის უნარს შეგინარჩუნებთ.

12:00 – ამ დროს გული სრული დატვირთვით მუშაობს, ამიტომ ნუ გადაიტვირთებით ზომაზე მეტად. კარგი იქნება, თუ უარს იტყვით ყავასა და შოკოლადზე. ბიოლოგები გვირჩევენ, ეს დრო ინტელექტუალურ სამუშაოს დავუთმოთ. სპეციალისტები გვარწმუნებენ, რომ ამ დროს ყველაზე რთული ამოცანების გადაწყვეტას შევძლებთ. ორიგინალური იდეებიც მრავლად გვექნება.



13:00 – სრულფასოვანი სადილის დროა. სასურველია, ის ცილებითა და რთული ნახშირწყლებით იყოს მდიდარი. დესერტად მწარე შოკოლადიც შეიძლება დააყოლოთ. სადილის შემდეგ საქმეებს მაშინვე ნუ შეუდგებით, რადგან ამ დროს ბიორიტმის შენელება იწყება, ორგანიზმს დასვენება სჭირდება.

14:00 – კარგი იქნება, თუ ამ დროს დაგეგმავთ ვიზიტებს.

15:00-16:00 – ამ პერიოდში გული „თვლემს“, ტვინსა და შინაგან ორგანოებში სისხლის მიმოქცევა შენელებულია. კარგი იქნება, თუ ამ საათობრივ ზოლში დაიძინებთ.

17:00 – იგრძნობა სასიცოცხლო ძალების მომატება. ტონუსის ასამაღლებლად ნებადართულია შავი ყავის ან რამდენიმე ულუფა მწარე შოკოლადის მიღება.

18:00-19:00 – სამუშაო დღის შემდეგ ორგანიზმს დამშვიდება სჭირდება. ეს იდეალური დროა მასაჟისთვის. ის გააძლიერებს სისხლის ცირკულაციას, მოხსნის კუნთების დაძაბულობას და საშუალებას მოგცემთ, მოეშვათ.

20:30 – ეს ის პერიოდია, როცა თქვენს კანს უნდა მიხედოთ. თავდაპირველად ზედმიწევნით უნდა გაიწმინდოთ ის, მერე კი მკვებავი ნიღაბი გაიკეთოთ. ფორები ღრუბელივით იწოვენ ფერმენტებს, რის შედეგადაც კანი ღამის განმავლობაში ისვენებს და აღდგება.

22:00-23:00 – ძალების აღდგენისთვის საჭიროა არანაკლებ შვიდსაათიანი ღრმა და სრულფასოვანი ძილი. სანამ დაწვებით, საძინებელი გაანიავეთ და ნელ-ნელა დალიეთ ერთი ჭიქა თაფლიანი რძე.

---

## ინტერნეტიდან

# ცისფერ შუქზე ბავშვები უფრო გონიერები ხდებიან



გერმანიის რამდენიმე სკოლაში მეცნიერებმა ექსპერიმენტი ჩაატარეს. საკლასო ოთახები ცისფერი შუქით გაანათეს, ბავშვებს წიგნის წაკითხვა, შემდეგ კი წაკითხულის მოყოლა სთხოვეს.

აღმოჩნდა, რომ ცისფერმა შუქმა პატარების ტვინის მუშაობის პროცესზე იმდენად დადებითი გავლენა იქონია და იგი ისე გააქტიურა, რომ კითხვის სისწრაფე 30%–ით გაიზარდა, წაკითხულის დამახსოვრების შესაძლებლობა კი 50%–ით გაუმჯობესდა.

---

# პროდუქტები, რომლებიც გამოცდების პერიოდში უნდა მიირთვათ



ევროპელმა მედიკოსებმა იმ პროდუქტების სია გამოაქვეყნეს, რომლებსაც მოსწავლეები და სტუდენტები გამოცდების პერიოდში ხშირად უნდა მიირთმევდნენ იმისთვის, რომ ტვინმა აქტიურად იმუშაოს.

ეს პროდუქტებია: თევზი, კვერცხი, ქათმის და საქონლის ღვიძლი, ხორბლის პური, ხილი და წყალი. რაც შეეხება ტკბილეულს, ტვინს მუშაობისთვის მართლაც ბევრი გლუკოზა სჭირდება. სუფთა შაქარი მყისვე სისხლში გადადის და შესაძლოა ერთ წუთში ამოხსნათ ამოცანა, გაიხსენოთ დავიწყებული ფორმულა და ა. შ.

თუმცა გლუკოზის მომატებაზე ორგანიზმი ინსულინის გამომუშავებით რეაგირებს და შრომისუნარიანობა მკვეთრად ქვეითდება. იმედს ნურც ყავაზე, გამაგრილებელ და ენერგეტიკულ სასმელებზე დაამყარებთ, ისინი ტვინს და ნერვებს კი არ კვებავენ, პირიქით, ფიტავენ.

ბატონი რევაზ (რეზო) კორტავა ხონის და არა მარტო ხონის, ჩვენი კუთხის გამორჩეული წარმომადგენელია. ის თავისი ნიჭიერებით, ინტელექტით, დახვეწილი გემოვნებით, გულში მწვდომი ლექსებით ყოველთვის იზიდავდა ლიტერატურისა და პოეზიის მოყვარულებს. იგი ჭეშმარიტად ეროვნული გახლავთ, რადგან სწორედ მისთვის ის თვისებებია დამახასიათებელი, როგორიცაა_სიმართლე, ზნეკეთილობა, სულით ერთგულება. ეს ყველაფერი ნათლად ჩანს მისი შემოქმედებიდან.

ბატონი რეზო, კარგა ხნის „შესვენების" შემდეგ კვლავ ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის სტუმარია.

## ქართულო ენავ

ქართულო ენავ, მზეო და ზენავ,
ამაღლებულო ცის თავანამდე,
სულ შენ გიმადლი, რომ ცოცხალი ვარ,
რომ შუაგზაზე აღარ გავთავდე,
სულ შენ გიმადლი ჩემს გადარჩენას,
რომ შუადღეზე აღარ დავღამდე
შენით კიაფობს ფრთამოფარფატე
სიცოცხლის ცისკენ აღმავალობა,
შენით შევიგრძენ თაფლობა ლექსის
და ბულბულების ცკმილი გალობა,
შენით ასკეცობს საქართველოში
სინარნარე და წყალჯავარობა!
ბაღში კვირცების აფეთქება ხარ,
ქართულო ენავ, ქართულო ლხენავ,
შენი შემუსვრა ცყვიებით სურდათ,
მაგრამ სულ იყავ ვარდების ფენა,
შენი მოცელვა ხანჯლებით სცადეს,
მაგრამ ვინ სძლევდა რუსთველის ენას?!
შენ მიეც ეშხი აკაკის აზრებს,
შენ უკვდავყავი ბრძენი ილია,
ვინც შენს საუნჯეს დაეუფლება,
ლელო უბურთოდ გატანილი აქვს.
შენი სიცკმო და მუსიკალობა
ლექსს ამ მიწიდან ზეცისკენ მიაქვს.

## შენ არ იცი?

საუკუნე წამის მსგავსად გამივლია,
ფიქრებს ზღვაზე აფრასავით გავშლი,
ეს ცხოვრება იცი, კარგო, რა ცკმილია,
თითქოს ცისკენ მიგაქროლებს რაში.
ასე ნაზად აკოკრილი რა ვარდი ხარ?
შენზე ფიქრით ცის კამაროს ვუმზერ,
შენ ჩემ ბაღში ჩიორების ნავარდი ხარ,
გაზაფხული გამიშალე გულზე.
დიდ სიყვარულს არ სჭირდება დიდი ფიცი,
აუ, ყოფნა რა ძნელია კენცად,
წვიმამ იცის, ქარმა იცის, შენ არ იცი?
რომ მიყვარხარ სიცოცხლეზე მეცად!

## ცოტაოდენი ამონარიდი ჩემი უბრალო მინიატურების საერთო ნუსხიდან

* * *

სული თანასწორ სულს ეძებს,
ბულბული —ადგილს ვარდიანს,
გული საითაც მიიწევს,
თვალებიც იქით გარბიან!

* * *

პირობის შესასრულებლად
მუდამჟამს იყავ მზადმყოფი,
სიცყვა კეთილი თესლია,
მხოლოდ საქმეა ნა-ყო-ფი.

* * *

ზერელე განსჯა-განქიქვა
დღეს დაგიბნელებს მზიანსა,
საქმე გულდასმით განსაჯე,
სიჩქარით იზამ ზიანსა.

* * *

მწარე თუკი არ მიირთვი,
ვერ გაიგებ ცკმილის გემოს,
ისე ვეღარ ინეცარებ,
თუ არ ჩასცხე პირშავ ღემონს.

* * *

სიმართლე— ძნელად სათქმელი
ბაჯაღლო ოქროს დარია,
სიცყვა ხაცოვნად ნათქვამიც
მართლის გარეში მკვდარია.

* * *

პაცარა ძელი ხიდად აქვს
მდინარეს, თუნდაც დიდ ხევსა,
თუმც ცული პაწია არის,
წამოაგორებს დიდ ხესა.

* * *

არ გაეკარო, ერიდე ავკაცს,
ერიდე ავის თქმასა და წერას,
სიკეთეს უნდა უერწყვდე აკვანს,
მას ადიდებდე და სცემდე თაყვანს

** *

თუ გსურს ყნოსავდე ვარდების კონას,
არასდროს გახდე ორგულთა მონა,
თუ ფუცკრისაგან ისწავლი შრომას,
იქნები კაცი, გექნება წონა!

* * *

პაცივი ეცი წინაპართ სახელს,
შენს დამბადებელს და ქვეყნის გამჩენს,
საქმენი შენი თუ დიადია,
არ დაყოვნდება, მყის გამოგაჩენს.

* * *

ცეცხლი ცეცხლია და მის წინაშე
ხე იკლაკნება, მინდვრად მთლი კრთის,
ვინც ბოროცების ნარ-ეკალს თესავს,
ის ვარდ-ყვავილებს ვეღარ მოიმკის.

* * *

რწმენით შეხედე ამომავალ მზეს,
აი რას მოგითხოვს დრო და ცხოვრება,
კარგად გესმოდეს, რომ ფესვდამპალ ხეს
ნაყოფი აღარ მოეთხოვება.

* * *

იქ რას მოიმკი, სადაც არ გიხნავს,
იცხოვრე გარჯით, იცოცხლებ დიდხანს!

* * *

დროს არა აქვს დასაწყისი
და არც დასასრული,
დრო აწმყო და წარსულია,
მომავალიც სრული.
მის წიაღში ვიბადებით,
ვიზრდებით და ვკვდებით,
დროა ქვეყნის პარამეცრი
უნებლიე ნებით.

* * *

შენ ია ხარ,
მე კი—ვარდი,
ვცხოვრობთ უფლის მადლით,
ამიცომაც მომწონხარ და
გულით შემიყვარდი.

* * *

მე ვარ დარდი, შენ ხარ ვარდი,
ამიცომაც შემიყვარდი,
შენ მზესა და მთვარეს ჰგავდი,
მე სალოცავ ხაცად მყავდი.
ახლაც გეცრფი, ახლაც გელცვი,
არავინ მყავს შენზე მეცი;
რადგან ციდან დამემედე
გულის კლიცე, სულის მცრედი,
შენს ხელშია ჩემი გულის
მათრობელა გასაღები!

* * *

სიცოცხლე უსიყვარულოდ
არის სიზმარი ცუდი,
დღე გადის უსიხარულოდ,
ყოფნა, არყოფნას უდრის.

* * *

იქეთ ზღვა და აქეთ მთა,
შუა არის ბარი,
ზეცაზე მზე ელვარებს,
დგება ამოდარი,
ყოველივე ეს არი
კარგის საწინდარი!

* * *

ეგ არი, მწუხრმა დარეკა ზარი,
შემომეპარა სიბერე ჩუმად,
სიცოცხლეს უკვე გაუჩნდა ბზარი,
განვლილი წლები თვლემენ და დუმან.

* * *

ვარ ნაწვიმარი, ვარ ნასეცყვარი,
ვარ ნამეხარი, ვარ ნაქარალი,
გამომივლია ჭირი მრავალი,
მაინც წინ მივალ, რადგან სავალი
ჯერაც გრძელია, ვამბობ გულით
და საქმით ალალით!

* * *

სულ მეჩვენები თვალებმზიანი,
ღიმილით სავსე სხივებით მავსებ,
ხარ შუქმფინარი, ალერსიანი,
შენ აღარ ჰგავხარ სხვა ქალებს
არცერთს.

ნაზი ხარ, ცურფა, ძვირფასი მეცად,
გემუდარები, ნუ მცოვებ კენცად,
შენს თვალში ელავს სხივი ციური,
შენ ღვთაება ხარ ამქვეყნიური!

რეზო კორტავა

ეკოლოგია

# დედამიწა–ჩვენი საერთო სახლი

***ამასწინათ ხობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩატარდა საინტერესო ლექცია XXI საუკუნის გლობალურ პრობლემებზე, რომელიც ფაზისის აკადემიის ნამდვილმა წევრმა, პედაგოგმა ბატონმა საშა არჩაიამ ჩაატარა.***

***ლექცია შეეხო ეკოლოგიის პრობლემურ საკითხებს, რომელიც ყველა სახელმწიფოსათვის მწვავე და შინაპოლიტიკის განუყოფელი და მთავარი ნაწილია.***

***დიდი ხანია გლობალური პრობლემების მოსაგვარებლად შეიქმნა მსოფლიო საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთა ერთობლივი ძალისხმევით გვარდება ის საკითხები, რომელიც კაცობრიობის მომავალს ეხება.***

***ამ საკითხებზე ლექცია-საუბრებს ხობში ბატონი საშა პერიოდულად ატარებს და ახალგაზრდებს, დამსწრე საზოგადოებას აცნობს იმ საკითხებს, რომელიც დღეს კაცობრიობას აწუხებს.***

***უფრო ვრცლად კი ამ ღონისძიების ორგანიზატორი ბატონი ალექსანდრე არჩაია გვესაუბრება.***

*„ჩვენ ბუნებაში ვართ-იგი ჩვენში, ცოცხალნიც მისნი ვართ, მკვდარნიც.“*

***ვაჟა***

XXI საუკუნის დასაწყისში კაცობრიობა მკვეთრად განსხვავებული პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. ეს პრობლემები დღითიდღე იძენენ გლობალურ ხასიათს და მათი მოუგვარებლობა უარყოფითად იმოქმედებს მსოფლიო ეკონომიკურ განვითარებაზე.

კაცობრიობის გლობალური პრობლემები მეცნიერთა, პოლიტიკურ მოღვაწეთა და ზოგადად საზოგადოების ყურადღების ცენტრშია. ეს პრობლემებია: ბუნებასა და ადამიანთა შორის ურთიერთობები, რაციონალურად ბუნებათსარგებლობა და გარემოს დაცვა, რესურსების მოხმარებისადმი ერთობლივი მიდგომა. გლობალურ პრობლემებს მიეკუთვნება სტიქიური ბუნებრივი მოვლენები. ურბანიზაცია, კულტურული და სულიერ ფასეულობათა კრიზისი, ოჯახსა და საზოგადოებაში ზნეობრივი ღირსებების დაცვა, თანამედროვე მსოფლიოში დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების დეფიციტი. მხოლოდ დედამიწაზე არსებული ყველა ქვეყნის შეთანხმებულ მოქმედებასა და ურთიერთკავშირის გაცნობიერებაშია მსოფლიოს ხსნა.



პრობლემათა შორის უპირველეს პრობლემად მშვიდობის შენარჩუნება და განიარაღება შეიძლება მივიჩნიოთ. იგი უშუალო კავშირშია ყველა დანარჩენთან. სწორედ მასზეა დამოკიდებული სიცოცხლის არსებობა დედამიწაზე. სამხედრო მრეწველობა უზარმაზარ ადამიანურ, ენერგეტიკულ, სანედლეულო რესურსებს, ასევე გიგანტურ მატერიალურ საშუალებებს მოითხოვს. დღეს მსოფლიოში ყოველწლიურად 1 ტრილიონი დოლარი იხარჯება, არმიის რიგებში რამოდენიმე ათეული მილიონი ჯარისკაცია. აქედან გამონთავისუფლებული თანხა შეიძლებოდა მოხმარებოდა ისეთი დარგების განვითარებას, როგორიცაა: განათლება, ჯანდაცვა, გარემოს დაცვა, ინფრასტრუქტურის განვითარება და სხვა. ეკოლოგიური პრობლემების გაუარესება საფრთხეს უქმნის ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლის არსებობას. ბუნებრივი რესურსებისა და სურსათის წარმოება სერიოზულ „დარტყმას“ აყენებს გარემოს. დაბინძურებული და შეცვლილი გარემო პასუხობს უკურეაქციით. გარემოს რღვევა ამუხრუჭებს ეკონომიკურ განვითარებას, რაც უარყოფითად აისახება დედამიწის მუდმივად მზარდი მოსახლეობის მოთხოვნებზე. სწორედ ამ მიზნებს ემსახურება გაეროს ეგიდით შექმნილი „გარემოს პრობლემებისა და განვითარების საერთაშორისო კომისია.“ ყოველივე აქედან გამომდინარე, მსოფლიოს მრავალი ქვეყანა აღმოჩნდა რთული ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ხასიათის პრობლემების წინაშე, რომელთა გადაწყვეტა მათ დამოუკიდებლად და შიდასახელმწიფოებრივ ფარგლებში არ შეუძლიათ და ამიტომაც ისინი საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრიანდებიან და ერთობლივი ძალისხმევით ცდილობენ პრობლემების გადაწყვეტას. ასეთი პირველი საერთაშორისო ორგანიზაცია 1823 წელს დაარსდა, ეს იყო მონობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო ორგანიზაცია. ამჟამად მსოფლიოში 2500-ზე მეტი საერთაშორისო ორგანიზაციაა.

თანამედროვე მსოფლიოში არსებული ეკოლოგიური სიტუაცია გასცდა პრობლემების არსს და უკვე კრიტიკულ მდგომარეობაშია. ათასწლეულის განმავლობაში ადამიანი მუდმივად ავითარებდა თავის ტექნიკურ შესაძლებლობებს, ძლიერდებოდა, ფართოვდებოდა მისი ბუნებაში ჩარევის მასშტაბები და ამასთან ყურადღების მიღმა რჩებოდა ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორიცაა ბუნებრივი წონასწორობა–ბუნებრივი ბალანსის შენარჩუნება ყველგან და ყველაფერში.

გარემოს ცვლილება და მასზე ზემოქმედება განსაკუთრებით XX საუკუნის მეორე ნახევრიდან გაიზარდა, ბუნებასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობაში მოხდა ხარისხობრივი ნახტომი, რაც მოსახლეობის ზრდამ გამოიწვია. ინტენსიური ინდუსტრიალიზაციისა და ურბანიზაციის შედეგად დაირღვა ბიოსფეროს ნივთიერებათა ბუნებრივი წრებრუნვა, სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდა ახლანდელი და მომავალი თაობების ჯანმრთელობა. თანამედროვე მსოფლიოში ეკოლოგიური პრობლემა, სიმწვავესთან ერთად, მეტად მრავალმხრივია, ფაქტობრივად ის მატერიალური წარმოების ყველა დარგში და პლანეტის თითქმის ყველა რეგიონში ვლინდება: გარემოს გაჭუჭყიანებით, გარემოს მდგომარეობის გაუარესებით, ბუნებრივი რესურსების ამოწურვით, სიცოცხლის და ცოცხალი ბუნების დეგრადაციით, განსხვავებული ეკოლოგიური სიტუაცია–ხანგრძლივი და არაკონტროლირებადი სამრეწველო განვითარების და ურბანიზაციის შედეგია.

გარემომცველი ბუნება სერიოზულად „დაავადდა“. გარემოს დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ამჟამად დედამიწაზე ხე-ტყის ჭრა რეკორდული სიჩქარით მიმდინარეობს. 20-30 ჰექტარზე იჩეხება, რაც 18-ჯერ აღემატება ტყის ბუნებრივ ნამატს.

საქართველოში ტყის ფონდი 2 მილიონ 980 ათას ჰექტარს შეადგენს, რაც ჩვენი ტერიტორიის 43%-ია საქართველოს ტყეები წარმოშობის, ზრდისა და განვითარების, შედგენილობის და სხვა მახასიათებლების მიხედვით უნიკალური ბიოლოგიური მრავალფეროვნებით ხასიათდება.

პარალელურად მიმდინარეობს გაუდაბნოების პროცესი. ყოველწლიურად ჩვენს პლანეტაზე დაახლოებით 700 ჰექტარი ნაყოფიერი მიწა განიცდის გაუდაბნოებას. მჟავური წვიმების შედეგად, რომელიც უმეტესად ჩრდილო ნახევარსფეროში მოდის, 5-6 სახეობის მცენარეული და ცხოველური სამყაროს წარმომადგენელი ქრება. საგანგაშოა წითელ წიგნში შეტანილი ფლორისა და ფაუნის სახეობათა რაოდენობა, ატმოსფეროში 12000 ტ. ნახშირორჟანგი გაზი გამოიყოფა.

მსოფლიოში მრავალ ქვეყანას წყლის რესურსების პრობლემა აქვს, რაც არამხოლოდ წყლის უკმარისობით, არამედ სუფთა, სასმელი წყლის პრობლემას გულისხმობს, ვინაიდან ყოველწლიურად მსოფლიოს მდინარეებსა და მის შენაკადებში უზარმაზარი რაოდენობის ნახმარი წყალი ჩაედინება გამწმენდი ნაგებობების გარეშე.

უკანასკნელ წლებში მეტად გამწვავდა ატმოსფეროს ეკოლოგიური მდგომარეობა, რაც მასში ნახშირორჟანგის შემცველობის ზრდით არის განპირობებული. ეს პროცესი იწვევს „სითბურ ეფექტს“, რაც კლიმატის დათბობას, ყინულის დნობას, მსოფლიო ოკეანეების დონის აწევას ნიშნავს. სერიოზული საფრთხეა ოზონის შრის რღვევა. იგი განსაკუთრებით მწვავედ ანტრაქტიდის თავზე გამოვლინდა, სადაც ე.წ. „ოზონის ხვრელი“ წარმოიქმნა. ყოველივე ეს ბუნებაზე მოქმედებს და იწვევს ბუნებრივი რესურსების არათანაბარ განაწილებას. დედამიწაზე მრავლადაა ტერიტორიები, რომლებიც საერთოდ მოკლებულია ტყის რესურსებს და ბუნებრივია აქვთ წყლის დეფიციტი. დედამიწაზე არსებული წყლის უდიდესი მარაგი ოკეანეებშია კონცენტრირებული. ეს საკმაოდ მინერალიზებული წყალია და არამარტო სასმელად, არამედ ტექნოლოგიურადაც გამოუყენებელია. მოსახლეობას, მრეწველობას და სოფლის მეურნეობას მტკნარი წყალი ესაჭიროება, რომლის მარაგი არც თუ ისე დიდია. მტკნარი წყალი დედამიწაზე მეტად არათანაბრად არის განაწილებული. მაგალითად, აფრიკაში მოსახლეობის მხოლოდ 10% არის უზრუნველყოფილი წყლით, როცა ეს მაჩვენებელი ევროპაში 95%-ს შეადგენს. წყლის მოხმარება დღევანდელ მსოფლიოში უკანასკნელ წლებში თითქმის 10-ჯერ გაიზარდა და ამჟამად იგი წელიწადში შეადგენს დაახლოებით 4000 კუბურ მეტრს, რაც კოლოსალური ციფრია. როგორც ზემოთ აღვნიშნე, წყლის რესურსების სიუხვე წყლის წრებრუნვით არის განპირობებული, რომელიც ატმოსფეროს, ჰიდროსფეროს და დედამიწის ქერქს მოიცავს. ამიტომ ადამიანის არაგონიერმა საქმიანობამ შეიძლება ეს წრებრუნვა შეაჩეროს, წყალგაცვლის პროცესი ძალიან ნელა მიმდინარეობს, დედამიწაზე 1 სულ მოსახლეზე დაახლოებით 270 მილიონ კუბური მეტრი წყალი მოდის. მსოფლიო მდინარეთა წლიური ჩამონადენი 47 ათას კუბურ კმ შეადგენს, მაგრამ ამჟამად მისი მხოლოდ ერთიმეორედი გამოიყენება. დღეს განვითარებად ქვეყნებში ყოველწლიურად 1200 ლ. წყალს მოიხმარს სასმელად. წყლის პრობლემა გამწვავდა მსოფლიოს დიდ ქალაქებში, რის გამოც მათ წყალი გრაფიკით მიეწოდებათ.

დღეს კაცობრიობის მიერ მინერალური სასუქების გამოყენებამ კოლოსალურ რაოდენობას მიაღწია. სასოფლო-სამეურნეო კულტურებში მისი შეტანის შემდეგ ისინი მდინარეებში ჩაედინებიან და საფრთხეს უქმნიან ჩვენს ფლორასა და ფაუნას.

ჰიდროსფეროს გაჭუჭყიანების ერთ-ერთი ფაქტორი ნავთობი და ნავთობპროდუქტებია. გემებიდან გადმოღვრილი ნავთობპროდუქტები ზღვის ბინადართა მოსპობის ერთ-ერთი სახეა. იგი წყალს არ ერევა, არამედ ეკვრება წყლის ზედაპირს და მას ნავთობის აპკს უწოდებენ. იგი ხელს უშლის წყლის აორთქლებას, ცვლის წყლის ტემპერატურას, რაც წყალში არსებული ცოცხალი არსების განადგურებას იწვევს.

ურბანიზაციის პროცესებმა „ქალაქური პრობლემები“ წარმოქმნა. ამ პრობლემების შედეგად ქალაქებში თავისებური მიკროკლიმატი წარმოქმნა. აქ დღისა და ღამის ტემპერატურები მიმდებარე ტერიტორიებთან დაკავშირებით მკვეთრად განსხვავდებიან. მზის რადიაცია, რომელსაც დღისით ასფალტი, შენობა-ნაგებობათა კედლები შთანთქავენ, ატმოსფეროს ღამით უბრუნდება, რის შედეგად ირღვევა აეროდინამიკური რეჟიმი, მაღალი შენობების გამო ჰაერის ნაკადები ხშირად იცვლიან მიმართულებას და შესაბამისად ნალექების რეჟიმიც იცვლება, ხშირია თავსხმა წვიმები. მეცნიერები მივიდნენ იმ დასკნამდე, რომ საჭიროა შემოვლითი გზების, ნაგვის გადამამუშავებელი საწარმოების მშენებლობები, სამრეწველო საწარმოებსა და ავტოტრანსპორტზე ფილტრებისა და მტვერდამჭერი სხვადასხვა მოწყობილობების დამონტაჟება.

ატმოსფერო ათასობით წლის განმავლობაში იცავდა და იცავს ბუნებრივ ბალანსს, მაგრამ ამჟამად ადამიანთა დაუდევრობამ მისი გაჭუჭყიანება გამოიწვია და სიცოცხლის დამცავი შრე სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, დედამიწას ე.წ. „სითბური ეფექტის“, გლობალური დათბობის, ოზონის ფენის გათხელება და მჟავური წვიმები ემუქრება.

უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში მსოფლიო ინდუსტრიამ ატმოსფეროსათვის საჭირო აირის ბალანსი დაარღვია. ნავთობის, ნახშირისა და ბუნებრივი აირების წვამ დიდი რაოდენობის ნახშირორჟანგისა და სხვა აირების გამოყოფა გამოიწვია. ამას კიდევ ავტომობილების გამონაბოლქვი, მეთანისა და აზოტის ოქსიდების მოჭარბებული რაოდენობა ემატება, რის შედეგად ატმოსფერო სერიოზულად „დაავადდა“.

დღეს საქართველოში უწყვეტ ნაკადად მოედინება მოძველებული, მწყობრიდან თითქმის გამოსული მსუბუქი ავტომანქანები. მკითხველს შევახსენებ, რომ მოძველებული და ე.წ. „ასაკოვანი“ ავტომობილები 10-ჯერ მეტ გამონაბოლქვ მავნე აირებს გამოყოფენ, ვიდრე ახალი მანქანები. ამიტომაც არის რადიაციის დონე მაღალი საქართველოში. გარემოს დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, იქ, სადაც ახალი დასახლებები იგეგმება, გზის ნაპირზე უნდა გაშენდეს მცენარეული მარადმწვანე საფარი, რომლის შემდეგ აიგება საცხოვრებელი თუ სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობანი. მცენარეული საფარი ხელს შეუწყობს ტრანსპორტის მიერ გამოყოფილი მავნე აირების შთანთქმას.

ატმოსფეროს შემადგენელი აირები დედამიწის ზედაპირამდე მზის სითბოს მიღწევას უზრუნველყოფენ. როდესაც ჰაერის გაჭუჭყიანების გამო ე.წ. „სათბური აირების“ რაოდენობა იზრდება, დედამიწას მეტი რაოდენობის სითბო ეცემა, რაც მეტ დათბობას იწვევს. შედეგი კი ის არის, რომ გასულ საუკუნეში საშუალო გლობარულმა ტემპერატურამ ნახევარი გრადუსით მოიმატა. მეცნიერთა ვარაუდით, მიმდინარე საუკუნეში ტემპერატურა დაახლოებით 1,5–4,5 გრადუსით მოიმატებს, რასაც მოყვება ზღვებისა და ოკეანეების დონის მომატება, რაც სავალალო შედეგს მოიტანს დედამიწაზე მცხოვრებთათვის. ზღვები და ოკეანეები არა მარტო „საწყობია“, რომელშიც კოლოსალური რაოდენობის ბიოლოგიური, ენერგეტიკული და მინერალური რესურსებია თავმოყრილი, არამედ დედამიწის „ამინდის სამზარეულოც“ და მსოფლიო სატრანსპორტო ქსელის შემადგენელი ნაწილი. მეცნიერები ვარაუდობენ, მსოფლიო ოკეანის ბიოლოგიური რესურსები სრულიად საკმარისია 20 მილიარდი მოსახლეობის გამოსაკვებად.

გამოთვლებით დაგენილია, რომ ოკეანეში ყოველწლიურად 1,5 მილიონ ტონამდე ნავთობი იღვრება, მაშინ როცა 2,5 მილიონი ტონა ნავთობი სრულიად საკმარისია, რომ მთელი მსოფლიო ოკეანის ზედაპირი 0,1 მმ სისქის ნავთობის აპკით დაიფაროს. როგორც ზემოთ აღვნიშნე, თუ გარემო არ გაჯანსაღდა, ატმოსფეროს ტემპერატურა 1,5–4, გრადუსით მოიმატებს და ოკეანეების და ზღვების დონე 2075 წლისთვის 1 მ-ით აიწევა.

დამაფიქრებელია ოზონის შრის საგრძნობი შეთხელება. ალუმინის წარმოებამ (რომელსაც მას ავიაცია უყენებს), მაცივრებისა და კონდენციონერებში ფერონის ფართო გამოყენებამ, ამ აირის ზომაზე მეტი დაგროვება გამოიწვია, ვიდრე ატმოსფეროს მისი შეწოვა შეუძლია. ატმოსფეროში მოხვედრისას ეს აირები იშლებიან და ქლორს წარმოქმნიან, რომელიც თავის მხრივ ძალიან აზიანებს და ანადგურებს ოზონის შრეს. მეცნიერები მოსალოდნელი საფრთხის შესახებ ჯერ კიდევ 1985 წელს ალაპარაკდნენ, როცა ანტარქტიდის თავზე ოზონის „ხვრელი“ გამოჩნდა, 10 წლის უკან ოზონის შრე არქტიკის და ჩრდილოეთ ევროპის თავზეც გაირღვა. თუ არ იქნა ქმედითი ღონისძიებების გატარება, ოზონის შრე სხვაგანაც შეიძლება გაირღვეს და იგი მოსახლეობისათვის საბედისწერო შედეგით დამთავრდეს, რადიაციის გაზრდა ადამიანის ჯანმრთელობის უპირველესი მტერია.

ბუნებრივი გარემოს შეცვლის შედეგად წარმოქმნილმა გლობარულმა პრობლემებმა მსოფლიოს ყველა ქვეყანა და რეგიონი მოიცვა, რადგანაც ეკოლოგიური პრობლემებისთვის არ არსებობს ცნება–„სახელმწიფო საზღვარი“. შეიძლება ისინი ლოკალურ ან რეგიონალურ დონეზე წარმოიქმნას, მაგრამ მათი მოგვარება მხოლოდ და მხოლოდ ფართო საერთაშორისო თანამშრომლობითა და ყველა ქვეყნის საერთო ძალისხმევის შედეგად არის შესაძლებელი.

დედამიწის ეკოლოგიურმა პრობლემებმა საზოგადოებაში ეკოლოგიური ცნობიერება და აზროვნება ჩამოაყალიბა. დღეისდღეობით დედამიწის სხვადასხვა გლობალური პრობლემები დამაფიქრებელია და მსოფლიო საზოგადოების მხრიდან ქმედითი, კომპლექსური ღონისძიებების გატარებას მოითხოვს.

***ალექსანდრე არჩაია.***

# დათა ხურცილავას სახელის უკვდავსაყოფად



12-16 თებერვალს ქ. ხობში ჩატარდა 2008 წლის 8 აგვისტოს ტრაგიკულად დაღუპული რეზერვისტის, ხობის „კოლხეთისა“ და თბილისის „დინამოს“ ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდების ყოფილი წევრის დათა ხურცილავას სახელობის თასის გათამაშება მინი ფეხბურთში, რომლის ფინალი ტრადიციულად დათა ხურცილავას დაბადების დღეს მიეძღვნა. მას 27 წელი შეუსრულდებოდა.

შეჯიბრებაში რვა გუნდი იღებდა მონაწილეობას. A ჯგუფში გაერთიანდნენ ჭავჭავაძისა და გოგებაშვილის უბნების, რეზერვისტების და გურიფულის ფეხბურთელთა გუნდები.

A ჯგუფში ასპარეზობდნენ ხობის „კოლხეთის“; „იმედის“; „მერცხალისა“ და ნოჯიხევის ფეხბურთელთა გუნდები.

დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ გამოვლინდნენ ნახევარფინალისტები. ნახევარფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ: ჭავჭავაძის ქუჩა–„მერცხალი“, „იმედი“–გურიფული. ჭავჭავაძის ქუჩის ფეხბურთელებმა დიდი ანგარიშით 7:1 დაამარცხეს მეტოქე. ფინალში ფეხბურთელთა მატჩი დაძაბულად წარიმართა და ფრედ 1:1 დამთავრდა. პენალტების სერიაში „იმედმა“ 7:6 სძლია და ფინალში გავიდა.

შეხვედრა ორმხრივ ორთაბრძოლებში მიმდინარეობდა. „იმედის“ ფეხბურთელებმა გოლის გატანა შესძლეს და მატჩიც 1:0 მოიგეს. მათ დათა ხურცილავას სახელობის თასი გადაეცათ.

მეორე ადგილისთვის განკუთვნილი თასი „ჭავჭავაძის“ უბნის ფეხბურთელებს გადაეცათ. მესამე ადგილისთვის განკუთვნილი თასი ხობის „მერცხალის“ ფეხბურთელებს ერგოთ. ტურნირზე დაწესებული იყო პრიზები საუკეთესო ფეხბურთელებისთვის სხვადასხვა ნომინაციაში: საუკეთესო მეკარე გახდა ლევან ჭურღულია; საუკეთესო მცველი–რომეო კვიკვინია; საუკეთესო ნახევარმცველი–ირაკლი გოგინავა; საუკეთესო თავდამსხმელი–გოგი ბუცხრიკიძე; საუკეთესო ბომბარდირი გახდა ედიკა არჯევანიძე. ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად ერთხმად აღიარეს ვლადიმერ ჯამბურია.

შეჯიბრება დაფინანსებული იყო ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ (სამსახურის უფროსი ფერიდე გოგია). ფინალური მატჩის დამთავრების შემდეგ გაიმართა დაჯილდოების ცერემონიალი. გამარჯვებულები დააჯილდოვა ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონმა კახაბერ ბენიძემ. ტურნირს ესწრებოდნენ გამგებლის მოადგილეები ბატონები ბადრი ჯობავა და მახარე ჩოკორაია. მუნიციპალიტეტის გამგეობის, კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ქალბატონი ფერიდე გოგია, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი ქალბატონი ნანა ბუკია, დათა ხურცილავას ძმა დაჩი ხურცილავა.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ტურნირის ორგანიზატორებმა ყვავილებით შეამკეს დათას საფლავი და კიდევ ერთხელ მიულოცეს დაბადების დღე. ამით საზოგადოებამ სამშობლოსათვის თავდადებული ვაჟკაცის მიმართ უდიდესი პატივისცემა და სიყვარული გამოხატა.

***ლევან ლემონჯავა.***



სულთათანა

## გიორგი (გიო) ბუკია



ჩვენო უდიდესი ტკივილო და სევდავ! ჯერ ძალიან პატარა ხარ და ვერ წარმოიდგენ რას ნიშნავს გაუსაძლისი მონატრება, სულისშემძვრელი ტკივილი. ეს რა წელი გავითენდა. 31 დეკემბერს თბილისში მომხდარ ავტოავარიას ჯერ შენი ნათლიის ზურა მეგრელიშვილის, 12 იანვარს კი შენი ულამაზესი სიცოცხლე შეეწირა, შენი დედ-მამა კი ისე მძიმედ დაშავდნენ, რომ ვერ შეძლეს უკანასკნელ გზაზე გაეცილებინეთ.

დრო ვერასოდეს გაანელებს და წაშლის შენს ხსოვნას ჩვენო ულამაზესო ბიჭო. როგორი სხარტი, ენამოსწრებული, სიცოცხლით სავსე იყავი... აკი უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული ანსამბლის მოცეკვავეები, რომლის წევრები შენი მშობლები იყვნენ, პატარა „სეუ“-ელს გეძახდნენ...

ვაი, რომ არაფერი დაგცალდა. რაღა დაგვრჩა, მხოლოდ შენი ფოტოები, რომელსაც ვეჩურჩულებით და გთხოვთ, შენც არ დაგვივიწყო, ხშირად გამოგვეცხადე, შენ ხომ სიყვარულით გზრდიდით, ისევ სიყვარულით უნდა გადავიტანოთ ეს განსაცდელი. უფრო მეტად გვიყვარხართ ჩვენო უდიდესო სიხარულო და უდიდესო ტკივილო. უფალს ვთხოვთ, ანგელოზთა შორის დაგიმკვიდროს ადგილი. ვიდრე ცოცხლები ვართ შენი ხსოვნისთვის ყველაფერს გავაკეთებთ და არავის დავავიწყებთ, რომ პირველი მაისის თემში ცხოვრობდა ლამაზი ბიჭი, გიორგი ბუკია, ახლა მარადისობაში გადასული დიდი ტკივილი და სევდა.

კიდევ ერთხელ გეტყვით, გვიყვარხარ და ძალიან გვიჭირს ცხოვრება, რომელიც უშენოდ გაუსაძლისია.

***ბებია–ბაბუა დარეჯან და ზურაბ ბუკიები.***

# ციურიხში სახლს დინოზავრის ძვლებისგან აშენებენ



„პირვლი ოქროს სახლი მსოფლიოში“ – ასე შეაფასეს პროექტი, რომლის ავტორიც ცნობილი ბრიტანელი დიზაინერი სტიუარტ ჰიუზია და რომლის განხრციელებასაც ერთ-ერთი შვეიცარიული კომპანია ციურიხში აპირებს.

სახლი, რომელიც უკვე 8,4 მილიარდ ევროდ არის შეფასებული, 8 ოთახიანი იქნება (საერთო ფართობი 752 კვ.მ), ექნება უზარმაზარი ტერასაც (388 კვ.მ), მარანი (245 კვ.მ), გარაჟი 4 ავტომობილისთვის და საკუთარი ბაღი (2442 კვ.მ). სახლის მშენებლობა ხუთ წელიწადში დასრულდება.

აღსანიშნავია, რომ სამშენებლო მასალად 200 ტონა ძვირფასი ლითონის გამოიყენებას აპირებენ. სახლი გამორჩეული იქნება იმითაც, რომ მის ზოგიერთ ნაწილში დაგებული იატაკის ფილები 65 მილიონი წლის გადაშენებული ტირანოზავრის ძვლებით იქნება დამზადებული.

# ბრუცელოზი




ბრუცელოზი–სეზონური ინფექციური–ალერგიული დაავადება ხასიათდება ზოგადი ინტოსიკაციით, საყრდენ–მამოძრავებელი აპარატის ნერვული და სასქესო სისტემების დაზიანებით.

***ეტიოლოგია, პათოგენეზი.*** ცნობილია ბრუცელების 6 სახე. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს თხებისა და ცხვრების ბრუცელებს, შემდეგ კი–მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ღორების. გამომწვევი მდგრადია გარემოში, ასევე საკვებ პროდუქტებში (რძე, ბრინზა) გამომწვევი დასნებოვნება ხდება ალიმენტური გზით ან კანის მიკროდაზიანებით. გამომწვევი ჰემაგოგენურად ვრცელდება მთელს ორგანიზმში, იწვევს ალერგოპათიას და კერების ფორმირებას სხვადასხვა ორგანოებსა და სისტემებში.

2010–2011 წლებში სოფელ ზემო ქვალონში ადგილი ჰქონდა ბრუცელოზით ადამიანის დაავადების თითო შემთხვევას. ინფექციის წყარო იყო მათ საკუთრებაში მყოფი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. 2012 წელს მარტის თვეში სოფელ ზემო ქვალონში ადგილობრივი მცხოვრებლების ცხრა სულ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს ბრუცელოზი ლაბორატორიულად დაუდასტურდა. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ინფორმირებული უნდა იყოს იმის შესახებ, თუ რა არის ბრუცელოზი, როგორ ხდება პირუტყვის დაავადება, როგორ გადადის ინფექცია ადამიანზე და როგორ დავიცვათ თავი ბრუცელოზით დაავადებისაგან.

**ეპიდემოლოგია.** ბრუცელოზის მოსახლეობაში გავრცელება დამოკიდებულია სოფლის მეურნეობის ცხოველების ამ დაავადებით დაზიანების ხარისხზე. ამ ცხოველებში ბრუცელოზით დაავადება შეიძლება უსიპტომოდ მიმდინარეობდეს ან გამოვლინდეს ცხელებით, მასტიტებით (განსაკუთრებით თხებში), ართრიტებით, თვითნებური აბორტებით.

ადამიანების დასნებოვნება ბრუცელოზით დაავადებული საქონლიდან. თხებიდან ხდება ახალი რძის ან რძის პროდუქტების გამოყენებისას, ცხვრებისაგან–ნაკლებად დამუშავებული მატყლის გამოყენებისას. გარდა ამისა, დასნებოვნება შესაძლებელია საკვებად დაავადებული ცხოველების არასათანადოდ მომზადებული და დამუშავებული ხორცის გამოყენებით, საქონლის მოვლის შედეგად (მესაქონლეები, მწველავები), აბორტირებული პირუტყვის დახმარებისა (ვეტერინარების პროფესიული დაავადება).

**სიპტომები და მიმდინარეობა.**

ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 6 კვირიდან 30 დღემდე. ზოგიერთ ავადმყოფს, 3–4 დღის განმავლობაში აღენიშნება პროდრომული პერიოდი, რაც გამოიხატება შეუძლოდ ყოფნით, მადის დაკარგვით, ძილიანობის დარღვევით, გაღიზიანებადობით. შემდგომ 3–7 დღის განმავლობაში ავადმყოფის ტემპერატურა მატულობს 38,5–39,5 გრადუსამდე. პაციენტთა დაახლოებით 20 პროცენტში ბრუცელოზი იწყება ძალიან მწვავედ. დაავადების დაწყებიდან პირველი 7–10 დღის განმავლობაში დამახასიათებელია შეუსაბამობა მაღალ ტემპერატურულ რეაქციასა და ავადმყოფების ზოგად, საკმაოდ დამაკმაყოფილებელ მდგომარეობას შორის; ავადმყოფები ამ ხნის განმავლობაში ინარჩუნებენ შრომისუნარიანობას. პირველ 10 დღეში ავადმყოფების ჩივილები მოიცავს საერთო სისუსტეს, წელის, გავა-წელის სახსრის მიდამოს, კისრის კუნთების ტკივილს, მნიშვნელოვან ოფლიანობას, რომლის გამოვლინებაც ადვილად ხდება ავადმყოფის ობიექტური გამოკვლევით. კანის, განსაკუთრებით ხელისგულების სისველე, აღინიშნება ტემპერატურის ნორმამდე დაქვეითების პირობებშიც კი. დაავადების დაწყებიდან დაახლოებით მე-16 დღეზე, ბრუცელოზის კლინიკური გამოვლინებები საკმაოდ მკაფიოდ ვლინდება. მიღებულია განვასხვავოთ მწვავე ბრუცელოზი, რომელიც გრძელდება 3 თვემდე, ქვემწვავე (გახანგრძლივებული ფორმა, რომელიც გრძელდება 3–6 თვე და ქრონიკული ბრუცელოზი, რომელიც გრძელდება 2 წლამდე (იშვიათად 3–4 წელი).

მწვავე ბრუცელოზის კლინიკური სიმპტომების განვითარების პიკზე, აღინიშნება პაციენტების გაღიზიანებადობა, ავადმყოფების ჩივილები მრავალფეროვანია, ვლინდება ოფლიანობა, ტკივილები შედარებით მსხვილ სახსრებშიც. ავადმყოფთა 75%-ს აღენიშნებათ პერიფერიული ლიმფური კვანძების ზომაში მომატება და პალპაციით მტკივნეულობა. სახსრების დაზიანება ვრცელდება უპირელესად (ან მხოლოდ) მსხვილ სახსრებზე სხვებზე იშვიათად იდაყვის სახსრები. ზოგიერთ ავადმყოფში ბრუცელოზი აზიანებს გავა–თეძოს შესახსრებას. დაზიანებულ სახსრებში აღინიშნება ხანგრძლივი ტკივილები, რომლებიც ძლიერდება მოძრაობისას. დაზიანებულ სახსრებში აღინიშნება ხანგრძლივი ტკივილები, მისი კიდეები გადასწორებულია გარშემო რბილი ქსოვილების შეშუპებით და ანთებით (პერიართრიტი).

სახსრებზე კანი სხვებთან შედარებით ცხელია, მცირეოდენ 1–2 სახსარი, შემდგომ ზიანდება სხვა მსხვილი სახსრები. არცთუ იშვიათად აღინიშნება ბურსიტები, ცელულიტები, ტენდოვაგინიტები. შესაძლებელია მსხვილი ძვლების, მათ შორის ხერხემლის დაზიანებაც (ოსტეოპერიოსტიტი). მყარი მიმდინარეობისას ვითარდება კონტრაქტურები და ანვილოზები. პალპაციით ვლინდება პატარა მკვრივი კვანძები, რომლებიც განლაგებული არიან გავის, მტევნების, ნევანების ტროპენიას, ედს-ის მომატებას. თუკი ავადმყოფს ადრეული პერიოდიდან უტარდება ეფექტური მკურნალობა, დაავადება შესაძლებელია დასრულდეს მწვავე ბრუცელოზის სტადიაზე. აღნიშნული მკურნალობის ჩაუტარებლობის შემთხვევაში, დაავადება გადადის სუბქრონიკულ, ქვემწვავე ბრუცელოზის სტადიაში.

დიფერენციალური დიაგნოზი ტარდება სეფსისთან, მალარიასთან, ტუბერკულოზთან, რევმატიულ ართიტრთან.

**მკურნალობა**. მწვავე სეპტიკური ფორმის დროს ძირითადია ეტიოტროპული თერაპია, რომელიც გრძელდება 3–4 კვირა, ინიშნება ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკები, სტრეპტომიცინი, ლევომიცეტინი, რიფამპიცინი. ქრონიკული ფორმების დროს ტარდება ზოგადი გამაკაჟებელი თერაპიული ღონისძიებები. პროგნოზი სიცოცხლისათვის კეთილსაიმედოა, თუმცა დაავადება ხშირად იწვევს შრომისუნარიანობის ნაწილობრივ დაკარგვას.

პროფილაქტიკა მდგომარეობს, პირველ რიგში, სოფლის მეურნეობის ცხოველებს შორის ინფექციის ლიკვიდაციასა და გარემოს გაუსნებოვნებაში. იმ ადგილებში, სადაც გვხვდება ბრუცელოზით დაავადებული ცხოველები, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ცხოველური წარმოშობის ნედლეულისა და პროდუქტების გაუსნებოვნებას. ძროხის ან თხის რძის გამოყენება მხოლოდ წამოდუღების ან პასტერიზაციის შემდეგ. რძის ყველა პროდუქტი (მაწონი, ხაჭო, კეფირი, ნაღები, ნაღების კარაქი) უნდა მზადდებოდეს პასტერიზებულ რძეზე.

**ჯუმბერ ტურავა,**
**ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე.**

## ხელოვნება



როცა დრო და საშუალება აქვს, ყოველთვის „ხატავს“. მის ნახატებში მკვეთრი ფერები ჭარბობს. ეს დრომ მოიტანაო მითხრა, თორემ თავად თბილი და ნაზი ფერები მოსწონს. არა აქვს პრეტენზია იმაზე, რომ რაიმე ღირებულს ქმნის. ისევე, როგორც წერის დროს, ამ შემთხვევაშიც ეს არის მისი შინაგანი სამყაროს რეალიზების საშუალება. ბავშვობიდან ხატავდა და სწორედ ხატვისადმი და ხელოვნებისადმი დიდმა სიყვარულმა გადაადგმევინა ნაბიჯი დიდი შრომის ფასად სწავლა თბილისში, მოსე თოიძის სახელობის სამხატვრო კოლეჯში გაეგრძელებინა, პროფესიად კი მეხალიჩე რესტავრატორობა აირჩია. მოგვიანებით თექაზე მუშაობის ხელოვნებასაც დაეუფლა. კოლეჯის დამთავრების შემდეგ თბილისში დარჩა და იქ განაგრძნო მოღვაწეობა. სენაკელმა გოგომ ამ რამოდენიმე წლის წინ თავისი ბედი ხობში ჰპოვა და დღეს სოფო გოგინავა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში თავის გამოცდილებას პატარებს უზიარებს. სწორედ აქ შევხვდი მას პირველად. მის „სახელოსნოში“ ყოველთვის ბავშვების ჟრიამულია. მათ უყვართ სოფო მასწავლებელთან მუშაობა. იქ შექმნილი მყუდრო გარემო ბევრი ბავშვისათვის სულის საზრდოს წარმოადგენს. სიტყვა გამიგრძელდა, თავი რომ არ შეგაწყინოთ, დანარჩენი თავად სოფოსგან შევიტყოთ.

# „ხატვა ჩემი სულის საზრდოა“

**სოფო, რა არის თქვენთვის ხატვა?**

–ხატვა ჩემი სულის ნაწილია, ის ჩემთვის ყველაფერია, ხატვის გარეშე ვფიქრობ, ცხოვრებაში ვერაფერს შევქმნიდი. მხატვრის თვალით დანახული სამყარო, მერწმუნეთ, სხვანაირია. შავ-თეთრი და ფერადი ტონების მონაცვლეობა ცხოვრებაშიც ხშირად გვიწევს ხოლმე. როგორც ყველაფერში, ხატვაშიც შუქ-ჩრდილები მთავარია. ხატვა ხელოვნებაა. შეიძლება ადამიანი თავად ვერ ხატავდეს, ქსოვდეს, მაგრამ, ხელოვნებაში და მის დარგებში კარგად ერკვეოდეს. მე ასეთ ადამიანებთან ურთიერთობა დიდ სიამოვნებას მანიჭებს.



**გობელენზე და თექაზე რას მეტყოდით. აქ, როგორც ვხედავ თქვენს ნამუშევრებში გობელენი ჭარბობს...**

–გობელენზე მუშაობა კოლეჯიდან დავიწყე. ეს არის ჩემი პროფესიაც და ერთ-ერთი ძირითადი სამუშაო. ბავშვებთანაც ძირითადად გობელენზე ვმუშაობ. ბავშვები თავიანთ საქმეს დიდი მონდომებით და ენთუზიაზმით ეკიდებიან. თავად მე ძალიან მიყვარს მონდომებული ბავშვები, შემიძლია მასთან ბოლომდე დავიხარჯო. მსიამოვნებს, როცა ჩემს ცოდნას სხვებს გადავცემ. რაც შეეხება თექას, პროფესიულ სასწავლებელში დავეუფლე. ძალიან მიყვარს ხელოვნება. მისი მიმდევარი ვარ და ბევრი რამ მინდა შევისწავლო, რაც ხელოვნებას ეხება.



**როგორ ფერებს ანიჭებ თქვენს ნამუშევრებში უპირატესობას? ხასხასა ფერებს?**

–ხასხასა ფერები? კი უმეტესად ამას ვიყენებ, რადგან ბავშვებისათვის საინტერესო და სახალისოა. პირადად მე, „დამჯდარი“ თბილი და ნაზი ფერები მომწონს. ფერთა გამა ჩემს ხასიათზეც არის დამოკიდებული, სხვაგვარად არც შეიძლება იქნეს, მე ჩემი სტილი და ფერთა გამა მაქვს. ყველა მხატვარს თავისი სტილი და ფერთა განსხვავებული ხასიათი აქვს.

**პერსონალური გამოფენა თუ გქონია?**

–პირველი ჩემი პერსონალური გამოფენა აქ, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში მქონდა. საიდანაც საზოგადოებამ მეტ-ნაკლებად გამიცნო. ამჟამად მუშაობის პროცესში ვარ, მინდა რაც შეიძლება ბევრი ლამაზი კომპოზიცია როგორც გობელენზე, ასევე თექაზე და გრაფიკაში შევქმნა, რომ ერთ-ორ წელიწადში საზოგადოების წინაშე წარვსდგე.

**ნინო გერგაია**

## მილოცვები

### ბატონ ლონგინოზ იოსავას!

შესანიშნავი ოჯახის უფროსს, კარგ მამას მოსიყვარულე ბაბუას და ერთგულ მეზობელს ვულოცავ 80-ე დაბადების დღეს, ვუსურვებ ჯანის სიმრთელეს, სიმხნევეს და ტკბილ სიბერეს.

**მანანა შულაია**

### დემეტრე გვასალიას!



მამიდას სიხარულო და სიყვარულო, ჩემო იმედო, ოცნებავ და გახარებავ, „მამიდაში თოლსინთე“, გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ ცხოვრებაში იყო გულსხივოსანი, ცოდნით სავსე, პატიოსანი, შენზე მღეროდეს საქართველოს ყველა მგოსანი.

მიყვარხარ, გეფერები, გესიყვარულები.

***მამიდა ნანა გვასალია.***

## კვირაძალს საკითხავი

# რატომ ტირის ადამიანი?

***გოდერძი ჩოხელი***

– რა გატირებს?
– რაღაც გამახსენდა.
– მაინც?
– აი, ეხლა ორმა კაცმა ჩამოიარა და რატომღაც გამახსენდა, რომ ამ კაცებმა ოდესღაც ზუსტად აქ ჩამოიარეს.
– მერე რა გატირებს?
– ხშირად მემართება ესეთი რაღაცები. ხშირად ვაკეთებ რაღაცას და რატომღაც მგონია, რომ ოდესღაც ეს უკვე იყო.
– ეგ მეც მემართება, რა არის მანდ სატირალი?
– რა და, მეშინია როდესმე კიდევ ასე რომ განმეორდეს ჩემი ცხოვრება.
– გინდა შენზე მოთხრობა დავწერო?
– არ მინდა.
– რატომ?
– შენს მოთხრობებში ყოველთვის კვდებიან.
– მერე შენ ამის არ გეშინია?!
– შენ არ გეშინია?!
– რისი უნდა მეშინოდეს?!
– დასასრულის.
– დასასრული არ არსებობს.
– როგორ თუ არ არსებობს?!
– ისე, რაიმეს დასასრულში ყოველთვის დასაწყისი დგას.
– მაშ, რატომ წერ ნაღვლიანად, როცა შენი მოთხრობის გმირები კვდებიან?
– რა ვიცი, მაინც მეცოდებიან.
– თუ გეცოდებიან მაშინ რატომღა კლავ?
– კვდებიან და რა ვქნა. წესით არ უნდა ვნაღვლობდე.
– რატომ?
– იმიტომ, რომ ყოველი არსი თვითონ ეძებს თავის დასასრულს. ესაა მიზანი, მაგრამ ხომ გითხარი დასასრული არ არსებობს მეთქი.
– მაშ რატომ ტირიან ადამიანები?
– ეშინიათ და იმიტომ.
– რისი ეშინიათ?
– დასაწყისის. ვისაც არ ეშინია, ის არც ტირის.
– მაგრამ, სხვა როცა ტირის სხვის სიკვდილს?
– თავის თავი ჰყავს მის ადგილას წარმოდგენილი. მკვდარი არ ტირის იმიტომ, რომ სიკვდილი უკვე დასაწყისია.
– იქნებ მაგიტომ არ ტირიან?!
– მაშ, რატომ?
– შეიძლება სხვაგნიდან ვართ მოსული და რაკი ველარ წავედით ტირილითაც იმიტომ ვტირით, აქ რომ ვრჩებით.
– ეგ რამ გაფიქრებინა?
– ეკლესიებმა. ხედავ როგორ არის ზოგი აშენებული?! ცაში ასაფრენად გამზადებულ რაკეტას ჰგავს. ჩვენ შიგნით შევდივართ და ვლოცულობთ. რატომ? იქნებ ისევ ცაში ამაღლება გვინდა და რომ არაფერი გამოგვდის და მიწას ვაბარებთ ერთმანეთს – ვტირით.
– მაგრამ რატომ არ განმეორდა?
– რა?
– შენ ხომ თქვი, რომ შენში რაღაცები მეორდება. რატომ არ განმეორდა ციდან აქ მოსვლა?
– შეიძლება ოდესმე ისიც განმეორდეს.
– და თუ განმეორდა, მაინც იტირებ?
– არ ვიცი. მე საერთოდ არ ვიცი რატომ ტირის ადამიანი.
– იმიტომ რომ თავისუფლება უნდა.
– მერე აღარ იტირებს?
– არა. თავისუფალ კაცს დასაწყისისა არ ეშინია.
– დაწერე რა.
– რა?
– მოთხრობა დაწერე ჩემზე.
– შენც რომ შემომაკვდე ბოლოს?
– არა. იცი როგორ დაწერე?
– როგორ?
– ვიცხოვრე დედამიწაზე, დიდხანს ვიცხოვრე, დაახლოებით ას წელს.
– მერე?
– ამ ასი წლის განმავლობაში ხშირად ისეთ რაღაცებს ვაკეთებდე, რაც ოდესღაც გაკეთებული მქონდა.
– მერე?
– ერთ დღეს ციდან ოქროსფერი ხომალდი მოფრინდა. მე გამახსენდა, რომ ამ ხომალდს უნდა წავეყვანე. ჩავჯექი და წავედი ცაში. დაწერ?

* * *

დავწერე...

## იყავით კეთილმოქმედნი!

# 4 წლის მარიამ ადონია თქვენს იმედადაა



ხობელი მარიამ ადონია ჯერ მხოლოდ 4 წლისაა და თითოეული თქვენგანისგან შველას ითხოვს, რათა თანატოლების მსგავსად გაიაროს. დედას, რომელიც თავს ევლება, სიტყვით მოეფეროს და მისი და-ძმის მსგავსად ყველასათვის სანუკვარი სიტყვა „დედა“ დაუძახოს. მისი დიაგნოზი დაბადებიდან ცერებრალური დამბლაა.

სოციალურად დაუცველმა, მრავალშვილიანმა ოჯახმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მას რეაბილიტაციის ერთი კურსი თბილისში „სანნის“ კლინიკაში გაევლო. ამჟამად მას სჭირდება კიდევ ორი კურსი, ძვირადღირებული მკურნალობა, მშობლები ხათუნა გვალია და ვლადიმერ ადონია მხოლოდ კეთილი ადამიანების დახმარების იმედით არიან.

მარიამ ადონიას სახელზე ლიბერთი ბანკის ხობის ფილიალში გახსნილია ანგარიში №GE40BD211196301345000. თქვენს მიერ გაღებული თუნდაც ერთი ლარი, მას მკურნალობის საშუალებას მისცემს.

დავეხმაროთ პატარას, ის თქვენი კეთილშობილების მოლოდინშია.

**გაზეთ „ხობის მოამბეს“ რედაქცია.**

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

*თარაზულად:* 1.ლეჟავა; 5.ქედანი; 8.ბიტარა; 9.მალავი; 10.ჰაიდნი; 11.ნიჟალა; 12.იკებანა; 16.ვარაია; 17. დანია; 18.აიოვა; 19.დარდი; 21.შპიცი; 24.მანზო; 27.მეტანია; 29.კალოში; 30.პრაიდი; 31.დოზანა; 32. ნიანგი; 33.თაკილი; 34.ალიონი.

*შვეულად:* 2.ეპიტაფია; 3აქანდაზი; 4.არაქისი; 5ქამანჩა; 6.დელაკრუა; 7.ნავთულლი; 13.კალანდაძე; 14.ბაქო; 15.ნომადიაზმი; 20.რაჯა; 22.პითაგორა; 23.ცელოფანი; 25.აშხაბადი; 26.ბანდაბან; 27.მაიბახი; 28.ასპინძა.

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.
გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“
სარედაქციო კოლეგია: თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა.
თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.
რედაქტორი–მანანა შულაია.
ჟურნალისტები–ნანა კემულარია, ნინო გერგაია, რეკლამისა და მარკეტინგის მენეჯერი ლაშა ცატავა.
კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“ მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილ მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.